სამშაბათი 1919 წ. მარტის 4 № 49
ყოველდღიური გაზეთი

სამშაბათი 1919 წ. მარტის 4 № 49
ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერმოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

**ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს" რედაქციის ფონდი.**

**დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.**

---

ღრმად დამწუხარებულნი, გულ დაწყვეტილნი შვილები: კონსტანტინე, დავითი, მარიამი და ელენე, რძალი სოფიო იოსების ასული გუკასაშვილები, სიძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბახუტაშვილი და მული ეკატერინე გულაზიზოვისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ რომ 2-ს ამა მარტს გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი და საყვარელი: პირველების დედა, მეორის დედამთილი, მესამის სიდედრი და უკანასკნელის რძალი

**ნატალია იოსების ასული**

## გუკასაშვილისა

პანაშვიდი სამშაბათს, მარტის ოთხს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში საღამოს 6 საათზე, ხოლო დასაფლავება ოთხშაბათს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. წირვა ქვაშვეთის ეკლესიაში დაიწყება დილის 10 საათზე. 1—2181—1

---

მეუღლე სამსონ ნოზაძე. დედა მარიამი, მამა კონსტანტინე და ძმები ლადო, პორფირე და, და ოლა თქლიაევები და შვილი გიორგი ნოზაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და ძვირფასი

**ანნა კონსტანტინეს ასული**

## ნოზაძისა

პანაშვიდი დღეს საღამოს 5 საათზედ (სოლოლაკი) შვინდისის ქუჩა № 16. დაკრძალვა 5 მარტს წმიდა ნინოს სასაფლაოზე ცხედარს გამოასვენებენ დილ. 10 საათზე ამაღლების ტაძარში. (1—2180 1)

---

მეუღლე ოლგა პეტრეს ასული ჯაოშვილისა სიდედრი გაიანე ივანეს ასული პადაროვისა და შვილები თამარა და ვახტანგი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი მეუღლის, მეორე სიძის და მესამე მამის

**შალვა მელიტონის ძე**

## ჯაოშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 4 მარტს 1919 წ. სამების ეკლესიაში, პრიუტის ქუჩიდან სახლი № 8. დაკრძალვა წმიდა ნინოს სასაფლაოზე. (1—2179—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი: მინა სარდალის ძე გოცირიძე, მეუღლე მისი ე. გ. გოცირიძისა, შვილები: ელენა, მარო, ბენიამენ და პროკოფი გოცირიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**ილია ნიკოლოზის ძის მაჭავარიანის**

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებულის გვამი გადატანილი იქნება ქ. თბილისიდან დ. საჩხერეში. გადატანის და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—2183—1

---

ქვრივი ევგენია ყიფშიძისა, გულითად მადლობას უძღვნის იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელთაც სიტყვით თუ საქმით, დეპეშით თუ წერილობით, პანაშვიდებზე და დაკრძალვაზე დასწრებით პატივი სცეს განსვენებულის ჩემის ქმრის პროფესორის

## იოსებ ყიფშიძის

ხსოვნას, ხოლო ჭირისუფლები გვანუგეშეს და გაგვამხნევეს. უფ. 1—1

---

## ახალი გრანდიოზული

**ცირკი**



(მიხეილის პროსპ. ეფიმოვების ყოფილ შენობაში)

## როაიის

დღეს შესდგება დიდი გრანდიოზული წარმოდგენა

**ნონ-პლიუს-ულტრა**

პირველი გასტროლი სახელგანთქმულ მეველისიპედე M-lle კლარის მონაწილეობით. ტრიუკები ბუტულკინისა. ჩემპიონი სერგი სამოდუროვი გააკეთებს ტრიუკებს მძიმე გირებით. გასტროლი შეუდარებელ კომიკოსების ძმ. ვინიჩენკოებისა, დებიუტები გიმნასტების ძმ. რუდლიერების. აკრობატკების მართა ბრუნოსის, თავის პარტნიორით კარლოსით. გასტროლი სახელგანთქმულ ცხენზე მოჯირითის M-e სტრაკოის. კლოუნები ძმ. იონავები. კინტოს გამოსვლა, კუპლეტისტების და სხვ.

**წარმოდგენის დასაწყისი სად. 8 საათზე.**

---

## სახელმწიფო თეატრი

**საოპერო დასი ა. ი. ევლახიშვილისა**

დღეს, 4 მარტს, წარმოდგენილი იქნება:

## ტრავიატა

მონაწილეობენ: საბანეევა, სარაჯიშვილი, ვრონსკი.

ოთხშაბათს, 5 მარტს „დემონი" ქართულ ენაზე. ხუთშაბათს 6 მარტს ტ. ი. საბანეევას, მ. ი. ალეშკოს, კანშინის და ისეცკას მონაწილეობით „ჰუგენოტები". 7 მარტს უმუშევართა დღე „კამორრა".

---

ბათომის ქართველთა ეროვნული საბჭო ამით აცხადებს, რომ ბათომის

## ქართული გიმნაზია

გაიხსნა და სწავლა დაიწყება ხუთშაბათს, 6 მარტს 1919 წლისა. ამ თავითვე იქნება შვიდი კლასი. ვაკანსიები არის ყველა კლასში, გარდა მეორისა. სწავლის ფული—200 მანეთი ნახევარ წლისთვის. მასწავლებელნი და მოწაფენი უნდა გამოცხადდენ სასწავლებელში (ბარის ქ., ელიავას სახლი) დილის 9 საათზე (ინგლისური დროით).

P. S. ის მოწაფეები, რომელნიც ამ ჟამად სწავლობენ რესპუბლიკის გიმნაზიებში და პირდაპირ გადმოდიან ბათომის გიმნაზიაში ვალდებული არიან წარმოადგინონ თავიანთი სკოლის უფროსის შესაფერისი მოწმობები, რომელშიაც ისინი მიიღებიან იმავე კლასში უეგზამენოდ, რომლიდანაც ისინი დღეს გადმოდიან. დანარჩენთ გამოსცდიან მიღების დროს. 2—2176—2

---

**პუშკინის ფოტოგრაფია**

## ს. ა. მინჩინისა

**(პუშკინის ქუჩა, № 5, პასსაჟი)**

ასრულებს სამხატვრო პორტრეტებს მცირე ზომიდა ნატურალურ სიდიდემდე, ზეთით, აკვარელით და პასტელის საღებავებით აგრედვე შავი სეპიით. მშვენივრად შესრულება პორტრეტებისა ძველ სურათებიდან. ფოტოგრაფია სვინდისიერად შესრულებისთვის პირობას იძლევა ფოტოგრაფია ღიაა დილის 9 საათიდან სად. 5 საათამდე. დღესასწაულების გამოუკლებლივ. 10—2168—2

---

**რ. წითელ ჯვრის საოლქო მმართველობის**

## სამკურნალო

ნერვიულ და სულიერად ავადმყოფთათვის, ალკოგოლიკების და ნარკომანებისთვის. ცნობებისთვის მიჰმართეთ. სამკურნალოს (ორთაჭალა ელბრუსის ქ. № 27. ტელ. 82.) ან დირექტორს ა. პრუსემკოს მისამართით: ანასტასიას ქ. № 7, ტელეფონი 4—36. (12—1102—9)

---

**მედიცინის დოქტორი**

## ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) სავეღე ტელეფონი № 43. 60—2171—3

---

**საჭიროა**

## ძიძა

მივცემთ თვეში 250 მანეთს. მსურველმა მიჰმართოს ოლღას ქუჩაზედ სახლი № 49 იკითხოს ქობულოვი. 2—2182—1

---

# ჩრდილოეთის საფრთხე

რაც დრო გადის მით უფრო საშიში ხდება თანამედროვე ევროპიულ კულტურისათვის ბოლშევიკური მოძრაობა. უკანასკნელი ცნობების მიხედვით გერმანიის ერთი უდიდესი ნაწილი, ბავარია, საბჭოთა რესპუბლიკათ არის გამოცხადებული. ასე დამთავრებულა ის სამოქალაქო ბრძოლა, რომელიც კურტ ეისნერის ძალმომრეობით სიკვდილმა გამოიწვია მიუნხენში.

თუ ეს ცნობა მართალია, ბოლშევიზმის შანსები მეტის მეტად აიწევს ევროპაში. მართალია, რუსის ბოლშევიკებსა და გერმანელ სპარტაკელებს შორის არსებობს სხვადასხვაობა, რომელსაც ეროვნულ კულტურის თავისებურობა ჰქმნის. გერმანია დიდი ინდუსტრიული ქვეყანაა. იქ სამრეწველო პროლეტარიატი მცხოვრებთა უდიდეს ნაწილს წარმოადგენს. სპარტაკული მოძრაობა უმთავრესად უმუშაოთ დარჩენილ პროლეტარიატის უკმაყოფილობით საზრდოობს. აგრარულ რუსეთში კი ბოლშევიზმი უფრო ბოგანო გლეხობას ეყრდნობა. მაგრამ ეს სხვადასხვაობა იჩრდილება იმ საერთო მიზნების წინაშე, რომელიც მსოფლიო ბოლშევიზმს აერთებს: ესაა თანამედროვე კაპიტალიზმის აფეთქება.

შეთანხმების სახელმწიფოები სცდილობდნენ რკინის სალტა შემოევლოთ ბოლშევიკურ რუსეთისათვის. ფრანგის ჯარის დესანტს ოდესაში, ინგლისის საექსპედიციო ნაწილებს არქანგელსკსა და ბათომში, იაპონელების მოქმედებას ციმბირში რუსეთის იზოლიაცია ჰქონდა მიზნათ, მაგრამ რადგან რუსეთი ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანაა, რადგან მას არც ნედლი მასალა სჭირდება და არც ბაზარი ინდუსტრიული საგნებისათვის, ამიტომ სანაოსნო კარების დაჭერასა და ჩაკეტვასა მისთვის არ აქვს დიდი მნიშვნელობა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წითელმა არმიამ თითქმის მთელი უკრაინა და ბალტიის მხარე დაიჭირა, ბოლშევიკური რუსეთი უზრუნველყოფილია პურითა და საკვები მასალით და შეუძლია ხანგრძლივ ალყას გაუძლოს ან მომენტის მოთხოვნილების მიხედვით თავდაცვიდან თავდასხმაზე გადავიდეს.

ბოლშევიკურ რუსეთის ენერგია დასავლეთისკენ არის მიმართული. ეს გასაკვირალი არ არის. ეკონომიურმა კრიზისმა, ინდუსტრიის მოშლამ, შიმშილობამ, უმუშევრობამ ევროპაში ნიადაგი მოუმზადა უკიდურეს სოციალისტურ და რევოლუციურ პროპაგანდას. საქართველო და წინა აზია უშუალოთ არ შედის ბოლშევიკურ გაფართოების სფეროში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქო ჩვენს რესპუბლიკას ბოლშევიკებისაგან არავითარი საფრთხე არ მოელოდეს. მართალია, როგორც წარსული წლის გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, ჩვენში მძლავრი ეკონომიური ფაქტორები არ ასაზრდოებენ ბოლშევიკურ მოძრაობას. მრეწველობა საქართველოში სუსტია, პროლეტარიატი ერის უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენს; ეკონომიურ კრიზისს ავრე რიგად არ დაუზიანებია ეს კლასი. ბოგანო გლეხობის უკმაყოფილებას კი ის აგრარული რეფორმა დააშოშმინებს, რომელიც პარლამენტმა მიიღო უკანასკნელათ.

მაგრამ თუ შიგნით ბოლშევიზმს სოციალური ბაზა აკლია, გარედან მას ყოველთვის შეუძლია თავდასხმა მოახდინოს. ეს განსაკუთრებით მაშინ იქნება მოსალოდნელი, თუ გერმანიის ბოლშევიზმმა გაიმარჯვა და შეთანხმების სახელმწიფოების ალყა მოიხსნა რუსეთში. ამ შემთხვევაში ადვილად შეიძლება ერთი ტალღა ჩრდილოეთიდან კავკასიის მთებისკენ დაიძრას. ამ საფრთხის თავიდან აცილება და ამ მიზნით ჩვენი ჩრდილო საზღვრების გამაგრება რესპუბლიკის ურთულეს პრობლემას წარმოადგენს.

---

# ეკონომიური მოსაზრებანი

ჩვენი დამოუკიდებლათ არსებობის ცხრა თვის მაგალითმა ცხადათ დაგვანახა თუ რავდენათ არის გამჯდარი ჩვენს ვაჭარ-მრეწველებში პასიური სული, რომელიც არა მარტო მეოცე საუკუნის დამახასიათებელია, არამედ სტრაბონის ზედმიწევნითი აღწერითა და ძველ ბერძენ-რომაელთა ცნობებით ძველადაც ჩვენ აღებმიცემობის ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენდა. ჩვენი ღვინო, ძვირფასი ლითონები და სხვა საქონელი ბლომად გადიოდა ათინაში და ცნობილი იყო კოლხიკეს სახელით, მაგრამ ეს საქონელი გაჰქონდათ უცხოელებს, ბერძნებს და რომაელებს და არა ჩვენ. აქტივობა, თაოსნობა სხვის ხელთ იყო. ჩვენ ნაკლები ცნობები გვაქვს საშუალო საუკუნეებიდან, რომ მაშინდელი აღებმიცემობის ეს მხარე დავახასიათოთ. მხოლოთ რუსეთთან და ისეც მხოლოთ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებთან შედარებით, როგორც ციფრებით დავამტკიცეთ ამას წინად, მეტი თაოსნობა და აქტივობა იყო ჩვენს ხელთ. პოლონეთთან შედარებით კი, ჩვენ უკვე სუსტს ინიციატივას ვიჩენთ. პოლონეთის ნაწარმოები მოდიოდა საქართველოში პოლონელ მექარხნეთა თაოსნობით და მათ კომისიონერთა საშუალებით, რაც საქონელსაც აძვირებდა შედარებით. ვარშავაში დაარსეს აღმოსავლეთთან ვაჭრობის მუზეუმი, რომ მწარმოებელნი გაჰსცნობოდნენ აზიის ნაწარმოებთ, გემოვნებას და მოთხოვნილებას. მეოთხმოცე წლებში თბილისის წიგნის მაღაზიები სავსე იყო ლოძისა და სხვა ქალაქების ფაბრიკების დანაკვეთით ქართულ ენის სახელმძღვანელოებისათვის.

ეგ პასივობა საუბედუროთ ეხლაც შეუძლებლად ხდის ჩვენს ვაჭრობას უცხოეთთან, მაშინ როდესაც ჩვენ საერთო მდგომარეობაში შეიძლებოდა მძლავრი ინიციატივის ამუშავებით დიდი საქმეების შექმნა. ევროპის ნაწარმოებს ანატოლიისაკენ და კავკასიისაკენ მხოლოთ ერთი პირდაპირი გზა აქვს ჯერ-ჯერობით— შავი ზღვა და საქართველო. ეს გზა გერმანიის დამშვიდებისა და საერთოთ მსოფლიო გზების თავისუფლათ გახსნის შემდეგ კიდევ უფრო შემოკლდება. მის გამოსაყენებლად უმთავრესათ თაოსნობა და ენერგიაა საჭირო. ვინც ამას მეტათ გამოიჩენს ის მეტს სარგებლობას ჰპოვებს. ჩვენ შეიძლება ტეხნიკურათ ტრანსპორტის უქონლობამ შეგვიშალოს ხელი, მაგრამ მთავრობის საშუალებით ინგლის-ამერიკაში სატრანსპორტო გემების შეძენა შეღავათიან პირობებში მეტადრე ომის შემდეგ, შედარებით იოლი საქმეა. საჭიროა მხოლოთ მიზანშეწონილი მუშაობა.

უცხოეთში უნდა შევიძინოთ ბევრი საწარმოო იარაღებიც. თუ სომხეთის რესპუბლიკამ მოახერხა სართავ-საქსოვის ქარხნის მოწყობილების შეძენა, სათანადო ზომების მიღებით ჩვენც შეგვეძლო გვეშოვა და აგვემუშავებინა ზოგი ქარხნები, რომელთათვის ბუნებრივი პირობები მზადაა და ხელისშემწყობია. კონსერვებისა, ტყავეულობისა, მერძეობისა, შაქრისა და სხვა ნაწარმოების ამ თავითვე ინდუსტრიულად მოწყობა ძალზე ადვილია თუ იარაღებს შევიძენთ და საქმეს სიყვარულით მოვეკიდებით. ამ მიზნისათვის ყურადღება უნდა მიექცეს როგორც სათანადო აქციონერულ საზოგადოებათა ისე მწარმოებელ კოოპერატივთა დაარსება-განვითარებას. მართალია ეს უკანასკნელი ყველგან ერთგვარათ არ ხეირობს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ინგლისის მწარმოებებელი (და არა მომხმარებელი) კოოპერატივები საუცხოვოთ აწესრიგებენ თავიანთ, თუმც განსაზღვრულ მაინც მაგრამ მნიშვნელოვან ნაწარმოებს. კანადის ექსპორტში დიდ პროცენტს შეადგენს მწარმოებელ კოოპერატივთა პროდუქტი. მხოლოდ ელვატორების რიცხვი, რომელიც მას ეკუთვნოდა, გაიზარდა ერთი წლის განმავლობაში 1912—13 წ. 46-იდან 132-მდე. მწარმოებელთა კოოპერატივი კიდევ მისთვისაა სასარგებლო სახელმწიფოსათვის, რომ ის აძლიერებს საშუალო წრეს და ნაკლებათ შეძლებულ მასსას. ეს იწვევს გარდა ხალხის გაჯანსაღებისა, ნივთიერად უზრუნველყოფისა, კიდევ გადასახადების საერთო თანხის სახელმწიფოს სასარგებლოდ გადიდებას. თუ წვრილ მწარმოებელთა ამ კოოპერატივებში დარაზმვა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას მძლავრად განავითარებდა, აქციონერული საზოგადოებანი, თავიანთ მხრივ ჩვენ მსხვილი, ქარხნისებური მრეწველობის საფუძვლად გახდება. ეს იქნება დასრულება-დაგვირგვინება სახალხო მეურნეობაში. როგორც ხალხში გაბნეულ კაპიტალების მობილიზაციისათვის, ისე მის სამრეწველო და სავაჭრო მიზნით კონცენტრაციისათვის უნდა გავიჩინოთ პუნქტები—აი, ეს საწარმოო კოოპერატივები და აქციონერული საზოგადოებანი, უცხოეთთან ვაჭრობის სრული თავისუფლების აღიარებით. თუ აგეთი მიზან-შეწონილი გეგმით ვიმუშავებთ, მაშინ ადგილი არ ექნება ისეთ კურიოზებს, როგორიც მოუვიდათ მაგ. საქონლის გამცვლელ კომიტეტს, როცა ნება დართო ექვს მექარხნე—მეთამბაქოებს სრულიად თავისუფლათ თამბაქოს ფაბრიკანტის საზღვარ-გარეთ გატანისა და იგივე უფლება იმავ საქონელზე წაართო ყველა სხვა ვაჭრებს. აქ რომ არავითარი სახელმწიფოებრივი ინტერესი როლს არ თამაშობს და მხოლოთ ექვსიოდე მექარხნის ინტერესი იგებს—ყველასათვის ცხადია. ყოველ შემთხვევაში ეკონომიურ პოლიტიკის პრინციპები უნდა გატარებულ იქმნას ერთგვარათ სათანადო დაწესებულების ყველა მოქმედებებში. ამ მხრივ უყურადღებოთ რჩება ხელმძღვანელ წრეებს ის ჩუმი, მაგრამ საგრძნობი ბოიკოტი, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე თვით ქართველთა ნაწარმოებთა წინააღმდეგ. ეს მორიგი ამოცანა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისა იმდენათ მნიშვნელოვანია რომ ღირს მასზე სერიოზულათ დაფიქრება და მუშაობა. საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ ელემენტებმა ხომ უნდა იცხოვრონ ერთად, ხომ უნდა გამოინახოს ერთგვარი madus vivendi, ხომ უნდა მოხდეს ინტერესების ურთიერთ შორის შეფასდება? ფაქტია, რომ ეს ელემენტები რა გინდა ჰეტეროგენული არ უნდა იყვეს მაინც ერთს პოლიტიკურ ერთეულში არიან. თვით ეს ფაქტი თავის-თავად გულისხმობს ისეთი გამათანაბრებელი ხაზის მოძებნას, რომელიც საბოლოოთ მოსპობს შოვინიზმით გამოწვეულ უნდობლობას და შურს სხვა და სხვა წრეებში. ესეც შეადგენს მომავალ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ერთ-ერთ საკითხს:

**ტიტე მარგველაშვილი.**

78

# უკანასკნელი ცნობები

ახალციხის მაზრაში ანარქიაა, ხალხს ბრბოები სძარცვავენ.

ფოთში ლაზისტანიის განთავისუფლების კომი-ტეტი დაარსდა.

საფ. კობერიდან იტყობინებიან, რომ ახლო-მახ-ლო მიდამოებში სროლაა.

კლემანსოს და პიშონის მოკვლის განზრახვის-თვის დააპატიმრეს 8 სოციალისტი.

პორტუგალიაში მონარქისტულმა ჯარებმა იარაღი დაჰყარეს.

ბოვარიის რევოლიუციურმა საბჭოებმა გადას-წყვიტეს ბოვარიის დეპუტატების გამოწვევა დამფუ-ძნებელი კრებიდან.

გერმანიაში, რურის ბასეინში მილიონ ნახევარი მუშა გაფიცულია.

## პ რ ე ს ს ა

**„პროვაკატორების საქმიანობა“.** გაზ. „ერთობა“-ში დაბეჭდილია წერილი, რომელიც ეხება პროვოკა-ტორების [illegible]

[illegible]

ციისა და არც ისე ადვილათ წამოე-გება პროვოკატორების ანკესზე.

საჭიროა მთავრობამ და რევო-ლიუციონურმა ორგანიზაციებმა სა-ზღვარი დაუდონ რეაქციონერების თარეშს, ალაგმონ და სასტიკათ დასაჯონ პროვოკაციული ხმების გავრცელებისათვის.

* * *

**ხანხოელის კაბინეტის გადადგომა.** აზერბე[illegible]ჯანის სამინისტრო, რომელ-საც [illegible] ძეთაურობდა ფათ-ალი ხან ხოე-ლი, გადადგა. მთავრობის გაზეთი „აზერბეიჯანი“ ამის გამო მეთაურში შემდეგსა სწერს, სხვათა შორის:

„აზერბეიჯანის სხვა და სხვა მი-მართულების პოლიტიკური ცხოვრე-ბის ფონზე, სადაც ხშირად გადახ-ლართულია ერთი მეორის მოწი-[illegible]

[illegible]

სახელმწიფოს ღირსებას“...

გაზეთი მწუხარებას გამოსთქვამს გამოცდილ და განათლებულ პრემიე-რის პოლიტიკურ ასპარეზიდან ჩამო-შორების გამო და დასძენს, რომ ხან ხოელის ავადმყოფობა არ არის დიპ-ლომატიური, არამედ გამოწვეულია უკიდურესი დაღლითა და შეუძლებ-ლობით.

## მთავრობის წრეებში

25 თებერვლის სხდომაზე მთავრო-ბამ დაადგინა:

**დაჯილდოება.** მიეცეთ ჯილდოდ კომპოზიტორ ფალიაშვილსა და არა-ყიშვილს სამუსიკო მოღვაწეობისათ-ვის. პირველს სახელმწიფო ღერბი და 10,000 მან. ხოლო მეორეს—10,000 მ. თანხა გადიდოს 10 მილიონიან ფონ-დიდან.

—

**ერთდროული დახმარება.** მიეცეს ტრაღიკულად დაღუპულ დამფუძნებელ კრების არჩევნების ინსტრუქტორ ქავ-თარაძის ოჯახს ერთდროული დახმა-რება 3000 მან.

—

**საავათმყოფოთა შესანახად.** გადაი-დოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში საავათმყოფოთა შე-სანახად 100,000 მანეთი.

—

**სასურსათო საქმის ორგანიზაცი-სათვის.** მთავრობამ დაადგინა შესდ-გეს მიწად-მოქმედების სამხედრო ვაჭ-რობა მრეწველობის სამინისტროთა და სასურსათო საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობით განსაკუთრებული კო-მისია სასურსათო საქმისა და მის ორ-განიზაციის შესასწავლად.

—

**ზოგიერთ დაწესებულებათა ლიკ-ვიდაციის შესახებ.** საუწყებათა-შო-რისო კომისიის მოხსენებისამებრ გად-[illegible]

[illegible]

6. საუწყებათაშორისო კომისიაში შევიდეს სამხედრო უწყების წარმო-მადგენელიც.

**დახურულ კრედიტების შესახებ.** რადგან ირკვევა, რომ როგორც გა-ნათლების ისე სხვა სამინისტროებში არ ყოფილა გამოწერილი ასიგნოვკე-ბი შარშანდელ ხარჯების დასაფარა-ვად კრედიტების დახურვის დრომდის და ეს იმით აიხსნება, რომ ხაზი-ნებში ფული არ იყო და ამიტომ ასიგნოვკებსაც არ იწერდენ. დადგე-ნილ იქნას, რომ ყოველ ადგილობ-რივ დაწესებულებამ აღძრას შუამ-დგომლობა ახეთ „ასიგნოვკების“ შე-სახებ სათანადო სამინისტროში და იქ შემოწმების შემდეგ და ფინანსთა მი-ნისტრის და სახელმწიფო კონტრო-ლიორის შეთანხმებით ასეთი აღდ-გენილ იქნან.

**სალიკვიდაციო ფულების შესა-ხებ.** შესდგეს კომისია შრომის ფი-ნანსთა სამინისტროებისა და სახელ-მწიფო კონტროლიორის შემადგენლო-ბით სალიკვიდაციო კანონის გადა-სასინჯავად და მთავრობისათვის მო-სახსენებლად.

## ქრონიკა

**✦ ნეიტრალურ ზონაში.** კობერი-დან სადგურის უფროსი გზათა სამი-ნისტროს დეპეშითატყობინებს: სად-გურის პირდაპირ მთის გადაღმა ხან-გრძლივი სროლაა. სადგურის მოსამსა-ხურენი შიშისაგან გაიქცნენ და ახ-ლაც არ ვიცით სად არიან, გთხოვთ დახმარებას.

**✦ ქართველების მდგომარეობა კავკავში** საგარეო საქმეთა მინისტრ-მა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს: „ყაზბეგიდან პოლკოვნიკი წერეთელი დეპეშით იტყობინება: ბოლშევიკების [illegible]

[illegible]

**✦ სტუდენტთა კრება.** [illegible]ტის 4 საღამოს 5 ს. დანიშნულია სა-ხელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა კრება. დას-წრება საჭიროა.

**✦ მთავრობის რწმუნებულის დე-პეშა.** ბორჯომიდან შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობის რწმუნებულ რუხაძისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გაზეთებში მოთავსებული ცნობა გენერალ კვინიტაძისა, თითქოს ახალ ქალაქის მილიციას რიცხვით 90 კაცს უფროსი არ ჰყავდეთ, სიმართლეს არ შეეფერება. ახალქალაქის მილიცია და მასთან ერთად ჯავახეთის სახალხო გვარდიის ერთი როტა ამჟამად ახალ-ქალაქის მაზრის კომისარ ვლ. რამი-შვილის წინამძღოლობით ბაკურიანში იმყოფებიან, საიდანაც 2 მარტს ჯავა-ხეთის საზღვრებისკენ გავლენ.

**✦ ქართულ უნივერსიტეტში.** ქა-რთულ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ რადიო ტელეგრაფით აცნობა უნივერსიტეტის დეკანს პროფ. ივ. ჯავახიშვილს, დროებით მისი თანამ-დებობის აღმასრულებელ პრ. ი. ყიფ-შიძის გარდაცვალება.

— პროფესორთა საბჭოს უამრავი სამგლოვიარო დეპეშები მოსდის პრ. ყიფშიძის გარდაცვალების გამო.

**✦ სამალდებულო დადგენილების დარღვევისათვის** რადგანაც ქართულ კლუბში არ იქნა ასრულებული გენე-რალ-გუბერნატორის უკანასკნელი სა-ვალდებულო დადგენილება, სავაჭრო-ებისა და სალხინოების ღამის 12 საათ-ზე დაკეტის შესახებ—მილიციის უფ-როსის განკარგულებით კლუბის ბუფე-ტი დაბეჭდეს, ერთი მამასახლისთაგა-ნი 3 თვით დააპატიმრეს, კლუბი 3,000 მან. დააჯარიმეს.

**✦ შტატს გარეშე მოსამსახურეთა შუამდგომლობა** გზათა სამინისტროს შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსა-ხურეებმა შუამდგომლობა აღძრეს [illegible]

[illegible]

მათ, მილიციის მოსამსახურეთა ჯამა-გირებისათვის

**✦ ტუსაღების გაქცევა და დახვ-რეტა.** 1 მარტს თბილისის საგუბერ-ნიო № 1 საპყრობილეს უფროს კო-ბიაშვილის იქ არ ყოფნის დროს უკა-ნონოდ გაუშვიათ კერძო სამუშაოდ 2 ტუსაღი—ასილოვი და გამბარიან-ცი, რომელთაც ზედამხედველი ჟუკო-ვი გაჰყოლია. იმავ დღეს სამთავენი 6 კომისარიატის მილიციონერებს და-უტუსაღებიათ და მილიციის უფრო-სის სამართველოში წაუყვანიათ. ტუ-საღებს გზაზე გაქცევა განუზრახავთ, რისთვისაც გამყოლ მილიციონერებს სამთავენი დაუხვრეტიათ. ამ საქმის შესახებ იუსტიციის მინისტრის გა[ნ]-კარგულებით დიდი გამოძიება სწარ-მოებს.

**✦ ბოროტმოქმედება ცენტრალურ სასურსათო საბჭოში.** ანგარიშების გასწორების დროს ცენტრალურ სა-სურსათო საბჭოს საწყობში ბორო[ტ]-მოქმედება აღმოჩნდა. დაკარგულია [illegible] ფუთი შაქარი. ექვით დააპატიმრე[ს] საწყობის გამგე დ. იორამიშვილი, მ[illegible]-სეშვილი, დავლიანიძე და საწყობ[ის] დარაჯი გიგიჩაიშვილი.

**✦ გაძარცვა.** 2 მარტს ღამით [illegible]-ნანოვის ბინაზე (არხიპოვის შესახვევ[ი] № 2) შეიჭრნენ 5 შეიარაღებული პირ[ი] და სიკვდილის მუქარით 31 ათასი [მან.] ფულად და 60 ათასი მანეთის სხვად[ა] სხვა ნივთები გაიტაცეს და მიიმალნე[ნ].

**✦ გვამის პოვნა.** 2 მარტს ღამი[თ] მილიციონერებმა რკინის გზის გადაღ[მა] ამოაჩინეს მოკლულ ნათაძის გვამ[ი], რომელსაც სამი ჭრილობა აქვს.

## ახალციხის მაზრაში

**ბორჯომი, მარტის 2.** (საკუთა[რ] კორესპონდენტისაგან). ახალციხიდა[ნ] ინგლისელების ომოზს მოჰყვა შვიდ[ი] პირი, რომელთაგან ორი აბასთუმანი-[illegible]

[illegible]

რაში მუსულმანი გლეხობა, რისთვისაც ათაბეგოვმა სამჯერ დაიბარა დამფუ-ძნებელ კრების კანდიდატი გლეხი ყა-დირ გვარამაძე. ერთ მოსულთაგანს აქვს ახალციხის მთავრობის მოწმობა რომელიც დაწერილია შემდეგ ბლანკ-ზე რუსულად: „კავკასიის „სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორია. ახალცი-ხის და ახალქალაქის დროები-[თი] კომისარიატი“. მოწმობაზე კომი-სარიატის თავმჯდომარე ათაბეგოვის ნაცვლად ხელი უწერია რუსს ტომა-შევიჩს, რომელიც წინად ოსმალებთან მსახურებდა, ხოლო უკანასკნელათ მო-ღალატეობისთვის ახალციხის ციხეში იჯდა. მოსულების გადმოცემით მაზ-[illegible]

## ტრფობა წამებული

**(ისტორიული რომანი)**

13

გარინდებული იწვა აშოტი, ჯერ კი არ ეძინა. ბურანში იყო წასული, ოდეს სინამდვილე ჰკარგავს თავის მკაფიო სახეს და სიმძიმეს. ოდეს იგი ჰაეროვ-ნდება, მსუბუქად მოძრავი შეიქმნება და შეერთვის ოცნებათა მრავალ სახე დასს ლამაზ სანახავს. ფიქრთა სამფ-ლობელოში დაიშლება მაშინ მზღვარი დროთა ქცევისა, წარმოუდგება გონე-ბის თვალს გაერთიანებულად წარსუ-ლი, აწმყო, თვით მომავალიც. ერთსა და იმავე დროს იძვრიან თუ ტრია-ლებენ იგინი ცნობიერების არეში, ექსოვებიან ერთმანეთს ერთურთში ჩაწნულ-ჩაბეჭდილნი. ფიქრნი და სახენი ზოგნი სიბნელიდან გამოდიან, ნათელს იმოსავენ; სხვანი სინათლიდან უკუდ-გებიან, ეძარცვებათ მათ სხივთა სა-მოსი, ცრიალდებიან, ჯანყის მაგვარ ძნელსაჭრელ სივრცეში უჩინარდებიან, მთლადაც ინთქმებიან.

უდარდელი ყრმა აშოტს უზრუნვე-ლად დასცქრიალებს დახატულ დარბა-ზებში სამეფო პალატთა, დაჰფრენს წალკოტებში, სავარდეებში. სხივოსახია ქვეყნიერება. პეპლის ფრთასავით ჭრელია ცხოვრება და ნაზი. ღიმილი, ხალისი, სიამე, ბევრი სიხარული! გამ-ზრდელთა დასი თავს ევლება ტახ-ტის მემკვიდრეს, ცივ ნიავს არ აღე-ნენ, ყოველ სურვილს უთქმელად უს-რულებენ, ჟიხსაც კი, უბრალო რამ დაეჟინება.

მოზრდილი ვაჟია აშოტი. ბარძიმის კარს იმყოფება მის შვილებთან ერთად. სწრთვნის მათ სარდალი, მკაცრ ყოფნას აჩვევს, სამხედრო ცოდნას ათვისები-ნებს. სასტიკია ბარძიმი, მთლად ულ-მობელი. აშოტის ჯერ ისევ ჩვილს თვალ-ზედ ცრემლის ნამი აუტანელი სირ-ცხვილია; ტანჯვის გამო მცირედ დალ-რეჯაც დიდად საგმობელი. ცეცხლში შესვლაც არ დაიმჩნიოს ვაჟკაცმა სახე-ზედ! განზრახ მიიყვანს ნადირობის დროს მიუვალ ალაგას და ასცდება მათ, გააცალკევებს, მაშინ იყო, რომ ესე დაახლოვებით შეისწავლა აშოტმა ყველა ბილიკი თვის სახელმწიფოსი, ყველა მთა და გარდასავალი, ხევთა და მდინარეთა სადინელნი თავ ფო-ნები. რამდენჯერ დასცა ძირს უწრთ-ვნელ- უხედნმა ცხენმა და გულმტკივ-ნელობის მაგივრად მწარე დაცინვა ჰხვდა მას ამზრდელებისაგან. რა ბუ-რთობა! რა ჯირითი! რა ხმალი! რა ლახტი!

— მეფედ იზრდები. ჩვენი მეფე კარგად იცოდე, საქართველოს მთა-ვარსარდალია. რა მშვენიერი იქმნები თვალცრემლიანი ბუმბერაზი! სადა გაქვს სიკასკასე მოქნილი, სისწრაფე შავარდენისა! სანიმუშო იქმნები მძიმე, მოუხეშავი; თითით საჩვენებელი გახ-დები. ხოტბას შემიმზღვნიან მე, შენს ამზრდელ, შენნი მნახველნი...

მეფეა აშოტი, ახალგაზრდა გვირ-გვინოსანი. ზეცით ალფრთოვანებული. აკურთხებენ, მეფედა სცხებენ. ხმალი შემოარტყეს სამეუფო. სკიპტრა მიარ-თვეს. გვირგვინი დაადგეს ცით მოღე-ბული. ულოცავენ. ქებას ეტყვიან. ყველა მხოლოდ ერთს ავალებს, ერთს ემუდარება: მტკიცედ იპყრას, ღირსე-ულად ატაროს ეს ნიშნები საქართვე-ლოს თვითმართველობისა, მისი თვით-მპყრობელობისა.

— მთელი საქართველო ამჟამს შენ გიმზერს, თავის რჩეულსა, თვის სა-სოებას. გორგასლის ხმალია ეს მტრის სისხლს ჩვეული, სისხლთა ნაცხებით ღარულ-ქდეული. არ უმტყუნო!.. დრო-შა დაიხარა შენს წინ: საქართველო გიკრავს თავს, სალამს მოგიძღვნის! ადიდე იგი, დაიფარე, აღორძინე და ააყვავე!..

შესძლო აშოტმა იმედთა გამართ-ლება. ძლევამოსილი მიდის წინ მამუ-ლის განსათავისუფლებლად, შესაერ-თებლად. ქსნის პირას დაესვა დროშა მძლეველი სულ მცირე ხანში. ერთი დაკვრაც და აფრიალდება ქართველთა ალამი შიგ შუა თბილისში, სამარადი-სო გულში უკვდავის საქართველოისა.

ახ, დაბნელდა! ქართველთა ლაშქა-რი გაფანტულა ხევ-ღრანტეებში. მტე-რი ქედმაღალი მიმოსდევს ლტოლ-ვილთ, იპყრობს, აწამებს, ამდაბლებს, ჰმუსრავს. იცინის ბოროტად, ხარხა-რებს მტერი. წარწმყდა წყეულ ურ-დოთა ფერხთ ქვეშ საქართველო სის-ხლით ღებული. მეფე აშოტი, ქართ-ველთა მეფე, წინაწარიქცია უსჯულოზ. ილტვის ცხებული, ისწრაფვის დაკნი-ნებული თავის და ოჯახის განსარი-ნებლად. ბუმბერაზი აშოტი, და სხვის კარს, უცხოთა სახლში?! მისი ნაშენი სხვის ხელთ შეპყურე?!

— ჰა, ჰა, ჰა! დაუტევებია მთელი საქართველო აშოტ მძლეველს და ფი-ცხლად ილტვის შემფრთხალ შველი-ვით, ისწრაფის ბინის საძებრად უცხო-თა შორის, დოვლათით სავსე ედემის კუთხე მიუცია მტრისათვის და აუკიდ-ნია თან რაღაც ფლასები თუ ვერ-ცხლის ნამსხვრევი. სახელმწიფო დოვლათი ჰგონია ის დაგლახავებულს. სასაცილოა აშოტ მძლეველი. ჰა, ჰა, ჰა!

მეფის მშფოთარე ძილმა, მისმა შე-უცნობელმა ხარხარმა გამოაღვიძა მასთან მყოფნი. შიშით მიუპყრეს ყურნი ტანჯული მეფის ხმას. არ გაინძრნენ, კრინტი არ დასძრეს, რომ უდროვოთ არ გამოეფხიზლებინათ ვაჟ-კაცი: საჭირო იყო მცირედი რამ დასვენება თუ შვება მისცემოდა ფრი-ად მაშვრალსა.

არ შეინძრა მეფე: მის ყურთათვის უსმენელი იყო მისივ ხარხარი. ტან-ჯული გონება მკაფიოდ განუმეორებ-და მძინარეს ყველა იმ სურათს, რო-მელი ბოლოს ჟამს მიეპყრო მისთვის ცხოვრებას. არ ისვენებდნენ, ძილ-შიაც არ ყუჩდებოდნენ აშლილი მისი ფიქრები.

წამოვიდა ვეშაპი, მძიმედ ჩამოეშვა, ჩამოწვა საავდრო ღრუბელივით. ცეცხლს აფრქვევს, ტოტს იწვდის აშოტისაკენ რომ მოუსპოს მას იმე-დი უკანასკნელი, გაანადგუროს ის, ვით მეფე; არარადა ჰყოს, იგი ვით უბრალო ადამიანიც, რომელიც ისწ-რაფვის გადაარჩინოს დაღუპვას თავის ოჯახი, მცირე რამ ნაშთიც დიდი სარჩოსი. საზარელ ვეშაპს სახე იზი-დის ძისა აქვს, თვით ხალილია იგი ვე-შაპად ქმნილი, თვალებ ჩასისხლიანებუ-ლი, ცეცხლის მფშვინავი. აღარა აქვს აშოტს გზა განსარინებელი. ჰსურს ვაჟკაცურად მაინც დაიღუპოს, ბრძო-ლაში მოკვდეს. წელს არტყია ხმალი განთქმული. ახ, მოსდუნებია მკლავი, ვე-ღარ ამოუწვდია მახვილი ქარქაში-დან. განსაცდელში მყოფი აშოტი ჰხედავს ნათელ ბუმბერაზს, რომელი იქვე სდგას აღშფოთებული, მის ახლოს. დაჰყრდნობია იგი ჰოროლის ტარს დაფიქრებული. ვერა ჰხედავს იგი ვერც ბედშავ აშოტს, ვერც ვეშაპს განლაღებულს. არ ესმის მას მსხვერპ-ლად განმზადებულთ ზახილი განწი-რული: ღრმა ფიქრშია იგი შეცურე-ბული, საუკუნო რამ განზრახვას ჩაჰ-მზერენ დახშული მისი თვალები. მოჰქ-რა ვეშაპმა ბრჭყალი უფლის წულს და გაიღიმა ბოროტად. შეინძრა ბუმ-ბერაზი ნათელი, წუთს მიაქცია თვალ-ნი აშოტისაკენ. გაიბრძოლა მეფემ, მიეცა ძალა მის მარჯვენას. იელვა ხმალმა, მოჰკვეთა საზარელს გაწვდი-ლი ტოტი...

მძლავრად მოქნეული მკლავი მოჰხვ-და მიწას და გაეღვიძა ვევეულს ჩვე-ნებათაგან.

მიმოიხედა შეუგნებლად. მიჰხვდა ყვე-ლაფერს. გაიხსენა სინამდვილე. ჯვარი გადისახა: მადლი შესწირა მეუფეს სას-წაულებრივ გადარჩენისათვის. მაინც მიენიჭებინა ღამეს მცირეოდენი და-სვენება მისთვისაც, მის ღვაწლთა თა-ნამოაზრეთათვისაც. აშლის დრო იყო: აისს შეემღლნა. გარიჟრაჟდა. მტრე-დის-ფრად შეშუქებულ ცას წითელი ზოლები აესახა. სიომ დაჰკრა მწვერ-ვალებიდან მაგრილებელმა, გამამხნე-ვებელ ჟრუანტელად უვლიდა იგი ნია-ვი მებრძოლთა ტანს გაფოლადებულს. აიშალნენ ხალხის გუშაგნი. იქვე ფერ-დობში წყაროდ გადმოდიოდა ყინუ-ლი. პირი იქ შეიბანეს მეფემაც, მისმა თანამშრომლებმაც, მშვენიერმა დილამ, უმანკო ჰაერმა უკეთეს გუნებაზედ დაა-ყენეს გამარჯვებულნი.

— დახე, ბარძიმ, როგორ დინჯად სძინავს ხალხს. ბავშური სასოებით მიჰნდობია თვის მფარველ ჯვარს თუ ადგილის ხატს.

— მიჰნდობია იგი აგრედვე შენს მარჯვენას რვალისას, ღვთივ-გამოწრ-თობილ გონებას ფხიზელს, დასძინა ზაზამ.

და ისევე ცოდვაა გაიტეხოს კაცმა, გული, მფარველად არ ადგეს მათ ყო-ველ ჟამს, როგორც შეუწყნარებელია მშობელმა დასტოვოს მძინარე ჩვილნი და უკუდგეს განსაცდელის დროს; ასმინა ბარძიმმა.

ბერს აღმზრდელს ჯერეც შეჰშვენო-და წრთვა თვის ზრდილისა.

14.

როცა მთლად დარწმუნდა დედო-ფალი, რა დიდი გამარჯვება მიჰნიჭე-ბოდა აშოტს, დაწყნარდა სრულიად, ისევ აივსო ფრთიან იმედებით. იმას წინადაც ვეღ დაეჯერებინა თავისი თავი, რომ შესაძლო იყო მეფის სრუ-ლი დამარცხება, დედოფლური მისი პატივის დაკნინებაც. აშოტ დიდის თანამეცხედრე თავის თავს ქართველ-თა დიდ დედოფლადა ჰხადოდა გან-გებისაგან მოვლინებულად და მოუთ-მენლად ელოდდა იმ დღეს, როდესაც თბილისში ამაყად აღიმართებოდა ბა-გრატიონთა დროშა მაღალი, რომ საჩინარ ქმნილიყო იგი მთელ საქარ-თველოს მკვიდრთათვის. გულში კიდე-ცა წყრებოდა ამაყი, რომ აშოტი მე-ტის სისწრაფით არ ასრულებდა ამ თავის მოწოდებას, რომ ჯერ ისევ მის სამფლობელოს გარეშე იყო თბილისის არე და კუთხე-კახეთი. იმასაც უგუ-ლოდ უყურებდა დედოფალი, რომ აფხაზნი ცალკე სამეფოდ განკერძოე-ბულიყვნენ, თუნდაც თვით აშოტის სიძისა და ერთგული მომხრის ხელში.

— ზეცით ნაკურთხი გვირგვინი ბაგრატიონთა და სინამ იგი ჩვენ გვი-პყრია, ჩვენვე უნდა გვეპყრას უკ-ლებლივ მთელი საქართველო, შეერ-თებული ტომი ქართველთა. ესეა გან-გებული ღვთისაგან! ბრძანებდა დე-დოფალი დარწმუნებული.

ავიწყდებოდა ზვიადს, რომ იგი გვირგვინი დიდებისა მიენიჭა ბაგრა-ტიონთა წინაპარს, ვით მონას უფლი-სას წრფელად თავმდაბალს, ტვირთ-მძიმეთა თუ მაშვრალთა ხელის ამ-პყრობელს, ხალხის გულითად მოსი-ყვარულეს, რომელი გზა იყო ფერ-დაებანა უკანასკნელისათვის, მოეშო-რებინა მისთვის სწიკვლი თუ მღილი ბეჩავებისა, თუნდაც თვით მიელო სასმელთან ერთად მადლი იგი დავრ-დომილობისა. ეს არ ახსოვდა დედო-ფალს ბედში მყოფს. არც მაშინ გაა-ხსენდა ეს იმას, როდესაც ბოროტად მომღერალმა იღბალმა დასცა სვესვია-ნობა მათი, მიწას განართხო. ვერ შეიგნო დედოფალმა სავსება ამ უბე-დურობისა, ვერ შეურიგდა მას, ვე[რ] იტვირთა.

— როგორ, აშოტი მთ[ლ]ად დამარ-ცხდა ვიღაც სარკინოზთაგან?; მეფის ლაშქარმა თბილისი ვერ აიღო, თვით[ო]ც გაიფანტა სირცხვილეული?! თვით მე-ფეც იღბალ ჩაშლილი მოილტვის აქე[თ] უკუქცეული?! ჰკითხავდა განცვი-ფრებულ-განრისხებული დედოფალი მსწრაფლმსრბოლელს, რომელმაც მოარ-თვა მას შავი დღის ამბავი და მეფის სურვილი, შემზადებულიყო გზად წა-სასვლელად.

— ცვალებადია, დედოფალო, ე[ტ]-ლი ბრძოლისა, მიწყივ მბრუნავ[ი]. ჩვენთვის უკუღმა დატრიალდა წა[რ]-მავალი ბედის ბორბალი. მყისვე აღ-სრულდეს ნება მეფისა!

სდუმდა დედოფალი წარბშეჭმუ-ხნილი. უკმეხადა სდუმდა ვანგებისადმი[ც] მრისხანე.

ჩაალაგეს სამეფო ბარგი. დაიძრა მე-ფის ოჯახი. სდუმდა დედოფალი გზა-ზედაც. თბილი სიტყვა შეჰყინვოდა გულგამეხებულს. მისწვდა თვის ლტო-ლვილ ოჯახს მეფე ძლეული. ცივად დახვდა მას თანამეცხედრე. არავითა-რი თანაგრძნობა ძლეულისადმი! ტანჯვა კი ცეცხლის მახვილთ გულ[ს] უპობდა შარავანდედ ჩამქრალს აშო[ტ]-სა, ტვინს უღრღნიდა. არც ერთხე[ლ] არ შეჰღაღადა ქალმა ღმერთს უკ[ე]-ლადშემძლეველს, არ შესთხოვა გა[რ]-მიექცია მას პირი თვისი ცოდვათა მათთაგან და კვლავ მოევლინა ძლე-ულთათვის ანგელოსი მფარველი. უსი-ტყვოდ უწყრებოდა ზვიადი ქმარს დამცირებულს, ლაშქარს ბრძოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში სრული ანარქიაა და ხალხს ძარცვავენ ბრბოები. ძარცვაა გავრცელებული თვით ახალციხეში. გაძარცვეს ცნობილი მემამულე ორბელიანი და სხვები. ამის გამო ქალაქში საალყო წესები გამოუცხადებიათ. ქართული სოფლებიდან ნაწილი მცხოვრებთა ახალციხეში გამოქცეულა. დანარჩენ სოფლებში ხალხი გაუძარცვავთ და მრავალი ამოუხოციათ. მოუკლავთ აგრეთვე მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე და ყველა ის მილიციონერები და ადმინისტრატორები, რომლებმაც მაზრიდან გამოსვლა ვერ მოასწრეს. ახალციხეში ჩამოსული ქართველები აუწერელ გაჭირვებას განიცდიან. ყარსის მთავრობის აგენტებს უმთავრესად ყავთ ფოცხოვიდან შემოყვანილი ჯარი და ძალით გამოყვანილი ადგილობრივი მცხოვრებთა. გამოცხადებულია მობილიზაცია. ვინც წინააღმდეგობას უწევს ხვრეტენ. უმთავრეს რაიონიდან ქალაქში შემოუყვანიათ 50 შეიარაღებული გლეხი, რომელნიც მეორე დღესვე წასულან თავის სოფლებში ძახილით: „ხალხს გაუმარჯოს“. სჩანს ავანტიურისტებს ყველა სოფლების აჯანყება ვერ მოუხერხებიათ. ახალციხეში დიდ როლს თამაშობს თურმე ბახში ბეგ მაჩაბელი, რომელსაც ჰყოლია ასი შეიარაღებული კაცი. ამბობენ, რომ ათაბეგოვსა და მაჩაბელს-შორის უთანხმოება არისო.

კომისარიატის შედგენაში სომხებს მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა ჯარში ყოლიათ ზოგი სომეხი ოფიცრებიც. მთავრობა დაბინავებულა მაზრის კომისარიატში და იქ დარჩენილი ყველა საბუთები ხელში ჩაუგდიათ. შიწის მუშათა საბჭო, სადაც ხელუხლებელი დარჩა მაზრის გლეხთა საჭიროებისთვის საქართველოს მთავრობის მიერ გაგზავნილი შაქარი, ნავთი და ფართლეულობა, სრულიათ გაანადგურეს. საბჭოსთან ერთად-ერთ შენობაში იყო მიმღები კომისიას, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის და საარჩევნო კომისიის საბუთები. რომელიც აგრეთვე გაუნადგურებიათ. ხელ-მეორე განადგურების შემდეგ ქალაქი აუწერელ სურათს წარმოადგენს. ბევრი მცხოვრებნი დაუხოციათ. შარშან თურქების აოხრებას გადარჩენილი მინერალური წყლებით იშვიათი აბანოები დაუნგრევიათ. ხოლო სასახლის კედლები გადარჩენილი ფიცრები წაუღიათ. ახალქალაქის მაზრის უფროსად დაუნიშნიათ იასონ ბეგ ფალავანდოვი.

**ლაზისტანის განმათავისუფლებელი კომიტეტი.**

ფოთი, მარტის 1. (საკ. კორ.) დაარსდა და მოქმედება დაიწყო ჭანეთლაზისტანის განმათავისუფლებელმა მთავარმა კომიტეტმა. ამ დღეებში მან გამოუშვა მოწოდება ლაზებისადმი.

## შემცდარი ცნობა

გაზეთ „Новости Дня“-ში ამა წლის 27 თებერვლის 191 №-ში მოთავსებული იყო ცნობა ვითომ „ფინანსთა სამინისტროს განძრახვა მოახდინოს რესპუბლიკის სხვა და სხვა დაწესებულებებში აღწერა ოქრო-ვერცხლისა და მისი ხაზინისათვის გადაცემა ოქროს ფონდის შესაქმნელად“, რის შესახებ თითქოს „უკვე მიეცა სათანადო განკარგულება გუბერნიის და მაზრის კომისარებს“.

მოყვანილი ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება. არავითარი ასეთი განკარგულება ფინანსთა სამინისტროს არ გაუცია და არც შეეძლო გაეცა, მან მხოლოდ სთხოვა შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროებს ებრძანებინა მათდამი რწმუნებულ დაწესებულებებისთვის და პირთათვის, რათა ის ოქრო-ვერცხლი, რომელიც მათ შეაგროვეს შემოწირულების სახით დაუყონებლივ შეეტანათ რესპუბლიკის ხაზინაში.

ფინანსთა სამინისტროს დირექტორი ჭანტურიშვილი.

## საგუბერნიო კომისარიატის და საგუბერნიო მმართველობის გაუქმება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის 30 იანვრის 1919 წ. კანონით საგუბერნიო კომისარიატი და საგუბერნიო მმართველობა გაუქმებულ იქმნა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დასახელებულ დაწესებულებებმა თავისი ფუნქციები შეაჩერა და 23 თებერვლიდან ლიკვიდაცია დაიწყო.

ჯერჯერობით არსებობს კომისარიატის კანცელარია, რომელიც აძლევს საზღვარ გარეთის მოწმობას, უცხო ხალხთ კი ბილეთებს საქართველოს საზღვრებზე ცხოვრების უფლებას.

კომისარიატი აცხადებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის 28 იანვრის 1919 წლის კანონით ადმინისტრაცია და მილიცია გადავიდა სამაზრო ერობების ხელქვეით და ყოველგვარი საქმეები უნდა მიმართული იყოს სამაზრო კომისარიატთან ან სამაზრო ერობის სამართველოში. მხოლოდ საჩივლელად ამ დაწესებულებებზე შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა მიმართონ.

## უცხოეთის ამბები

**დენიკინი და მთიელნი.**

მოხალისეთა ჯარის მთავარ სარდლის გენერალ დენიკინის დავალებით გენერალ ლიახოვმა წინადადება მისცა მთიელთა რესპუბლიკის ჩრდილოეთ ხალხთა კავშირს, რომ მთელ მცხოვრებლების (18 წ.—45 წ., მობილიზაცია მოახდინოს. მთიელთა მთავრობამ ამ ულტიმატუმს კატეგორიული უარი განუცხადა.

**სტამბოლში**

ქალაქში მთელი ძალა-უფლება მთლად მოკავშირეთა ხელშია, რომელთაც დაუფუძნებიათ მოკავშირეთა ბიურო სადაც შედიან საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის წარმომადგენელნი. პოლიცია ინგლისელების ხელშია, ხოლო ჟანდარმერია—ფრანგების ხელში. ჟანდარმერიას სათავეში უდგა პოლკოვნიკი ფლონი. ყველა ამ ორგანიზაციას უფრო ხანგრძლივი ხასიათი აქვს, ვიდრე დროებითი ან ომის დ სხვ. რომლის მომასწავებელია ის, რომ მოკავშირეებს სურთ სტამბოლის სრული ნეიტრალიზაცია. ამას მოწმობს ისიც რომ მოახდინეს ევაკუაცია კონსკიდამ და გადმოსახლება სულთანის რეზიდენციის სასახლე ბეილერბეითში, აზიის ნაპირებზე.

**სურსათის საქმე სტამბოლში**

სიძვირე ისე საგრძნობი არ არის, როგორც ჩვენში. პურს ბარათებით იძლევიან სამ-მეოთხედ გირვანქას სულზე (16 კაპეიკი გირ.). ისე თავისუფალ ვაჭრობაში პურს გირვანქას იყიდით 3 მან. ხორცი გირვანქა 4 მან. ღირს.

**ფ. ხან-ხოილის. გადადგომა**

როგორც გაზეთი „ადერბეიჯანი“ იტყობინება ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარეს ხან-ხოილის მეტის-მეტი ნერვიულ დაღლის გამო, თავის თანამდებობისთვის თავი დაუნებებია. ხოილის მაგივრად ინიშნება ხ. ბ. ბასამმედოვი.

**კ ა ვ კ ა ვ ი**

თერგის და დაღესტნის უფროს ხელმძღვანელ გენერალ ლიახოვს, რომელიც დანიშნული იყო მოხალისეთა ჯარის ხელმძღვანელად, ჩეჩნის მმართველობა გენერალ ალიევისთვის ჩაუბარებია, თანაშემწეთ კი დანიშნულია პოლკოვნიკი კლიჩბიევი. კაბარდის მმართველი გენერალ ბეკოვიჩ—ჩერკასკი. ინგუშების—გენერალი მალსაგოვი, მაგრამ მან უარი განაცხადა თანამდებობის მიღებაზე. ინგუშებმა ითხოვეს გენ. ფიდაროვის დანიშვნა, მაგრამ ლიახოვმა განუცხადა რომ ფიდაროვი პიატიგორსკშია წასასვლელი.

**სად იმყოფება ენვერი**

„Stamboul“-ის გადმოცემით ენვერი ყოფილა კავკასიაში და არა გერმანიაში როგორც ფიქრობდნენ.

**ენვერის აგარაკის გაჩხრეკა**

ენვერის აგარაკის ბრიუკ-დერეში გაჩხრეკის დროს 28 იანვარს აღმოუჩენიათ 250 მაუზერი, ბევრი პატრონები და სხვა... რვა კაცი, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ამ „განძის“ შენახვა, დაპატიმრებულნი არიან. ბევრი იარაღი და პატრონები ნაპოვნია აგრეთვე ჯემალში. მოახდინეს ყველა იარაღის კონფისკაცია.

**ვენეზილოსი და ნუბარ-ფაშა**

პარიზიდან იტყობინებიან, რომ ვენიზილოს და ნუბარ-ფაშას შორის მოხდა შეთანხმება ყველა საკითხებზედ, რომელიც კი შეეხებოდა საყოველთაო თუ ნაციონალურ საკითხებს.

**ლუცატი სომხებზე**

გაზეთ „Jke Jrant — Caucasion Post“-ში დაბეჭდილია ყოფილ იტალიის პრემიერ-მინისტრის და სახელმწიფო მოღვაწის ლუიჯი ლუცატის დეპეშა, რომელიც გაუგზავნა პრეზიდენტ ვილსონს სომხეთის საკითხის შესახებ. დეპეშაში ლუცატი, ვილსონს სთხოვს რომ მიაქციოს ყურადღება იმ ტანჯულ სომხეთის ხალხს, რომელიც იბრძვის თავის უფლებებისთვის და თავისუფლებისათვის. იგი გამოსთქვამს იმედს, რომ მოკავშირენი გაუწევენ ანგარიშს სომხეთის ერის მოთხოვნილებებს.

ასეთივე შინაარსის დეპეშა ლუცატის კლემანსოსთვისაც გაუგზავნია.

## ტელეგრამები

(საქ. ტელ. სააგენტო).

**ბოლშევიკური ცნობები**

**მოსკოვი.** ხარკოვი, მარტის 2 სახნოს ბრიგადის საწინააღმდეგოთ მოქმედებს მოხალისეთა რაზმის გვარდიის ნაწილები, ჯარის სარდლობას სურს შექმნას ნამდვილი ძველი რეჟიმის გვარდია.

**რიგა.** მარტის 1. გაიხსნა ლიტვის კომუნისტების პარტიის მე-6 ყრილობა.

**ტილზიტი.** თებ. 25. ტილზიტურ ცეიტუნგი იუწყება, „ტაიმსის“ ცნობას, რომ მოკავშირეები შეთანხმდენ დროებითი ზავის ახალპირობების შესახებ, რომელსაც გერმანიას წარუდგენენ, გერმანიამ დაუყონებლივ უნდა გადასცეს მოკავშირეებს 16 კრეისერი, 50 ნაღმოსანი და 42 გამანადგურებელი, ხოლო ყველა წყალქვეშები თავის ნავებით და ყველა საჭირო მასალებით 15 დღის განმავლობაში უნდა იქნეს განადგურებული. დამხმარე კრეისერებს იარაღი უნდა აჰყარონ.

**ტილზიტი,** თებერვლის 25. მიუნხენიდან „ტილზიტერ-ცეიტუნგს“ ატყობინებენ, რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმა დაავალეს მიუზამს, ლანზაუერს და სხვებს შეადგინონ ბავარიის წითელი რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

**რიგა,** თებერვლის 28. ვინდინის მაზრიდან იუწყებიან, რომ მუშები და გლეხები გრძნობენ რა მომენტის სიძნელეს, წითელ არმიის ნაწილებში ეწერებიან თეთრ-გვარდიელებთან საბრძოლველად. კიევი, მარ 1. კიევში ბუნდის კონფერენციაზე ვოლინის გუბერნიიდან ჩამოსული დელეგატი ქალაქ კოროსტიშევის შესახებ გადმოგვცემენ, რომ ქალაქი აჯანყებულ გლეხების და ჯარისკაცების ხელშია.

**ჟიტომირი.** გალიციის სეჩევიკებმა დასცალეს უკრაინის ჯარის ხელშია ქალაქის ყველა მისავალი.

**ჟენევა.** თებერ. 23. პორტუგალიის მთავრობის ოფიციალური ცნობების თანახმად, პორტუგალიაში სრული სიწყნარე დამყარდა, რესპუბლიკა აღდგენილია. მონარქიულმა აჯანყებულმა ნაწილებმა იარაღი დაჰყარეს და მთავრობის ჯარს დანებდენ,

**ბოლშევიკური ცნობები**

**მოსკოვი,** მარტის 1. (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიულეტენი). ტლოშინის მიმართულებით ლატვიის წითელმა ნაწილებმა 10 ვერსით უკან დაიხიეს. სუვალკის მიმართულებით, ვილნოს დასავლეთით, ლატიშთა ჯარმა შადიუნტი და დაბა ივოიცნი დაიჭირა. სამხრეთის ფრონტი. დონეცის რაიონში ბახმუტის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა კონსტანტინოვკა დასტოვა. აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა ბარანოვსკაია დაიჭირა. ლუგანსკის სამხრეთით მოწინააღმდეგემ ჩვენი ჯარი შეავიწროვა. ლუგანსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ სადგური კრასნოვკა დავტოვეთ. მილეროვის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ჩირსკის რაიონში ჩვენ ვერხნე-ჩირსკაია დავიჭირეთ. აღმოსავლეთის ფრონტის აქტიუბინის მიმართულებით ჩვენმა მხედრავმა რაზმმა სადგური კურაილი დაიჭირა. სტერლიტმაკის რაიონში და პრეობრაჟენსკის ქარხანასთან ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგის სურსათი იგდო ხელში. სარაპულის რაიონში კრასნო-უფის რკინის გზაზე შეტევა გრძელდება. რკინის გზის ორივე მხარეზე ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. ოსინის რაიონში, მდინარე ტულვისაკენ მივიწიეთ. პერმის რაიონში ჩვენმა ჯარმა რამოდენიმე სოფელი დაიჭირა. უკრაინის წითელმა ჯარმა დიბენკოს სარდლობით ს. პოკსაკი და ცარეკონსტანტინოვკა დაიჭირა. ხელთ იგდეს ზარბაზნები, ძტრის დროშა და მრავალი ტყვე წამოიყვანეს.

**ორენბურგი.** თებ. 28. ბაშკირის საბჭოთა მთავრობის ჯარმა აქტიური მოქმედება დაიწყო თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. ბაშკირის ჯარს და ჩვენს ნაწილებს შუა კავშირია. ტყვეების სიტყვით, დუტოვის რაზმმა არ იცის, რომ ბაშკირთა ჯარი საბჭოთა მთავრობის მხარეზეა.

**კიევი,** თებ. 28. გუშინ მოსკოვიდან ჩამოვიდა სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელი ბელ-ჩოფი და დირექტორიის დიპლომატიური მისიის მდივანი იაროსლავი, რომელნიც ფრონტზე წავლენ დირექტორიასთან მოსალაპარაკებლად. კაზატინის მიმართულებით ჩვენმა არტილერიამ გაანადგურა პეტლიურას 2 ჯავშნიანი მატარებელი. მოსკოვში უკრაინის საშვიდობო დელეგაციის შიკრიკი კულიში, რომელიც გუშინ ვინიცაში გამგზავრებული იყო, კიევში დარჩა, რადგან დირექტორიის დაცემის შემდეგ ამ მგზავრობას მნიშვნელობა არა აქვს.

**კიშინიოვი.** თებ. 23. ბესარაბიაში პოლიტიკური და სამხედრო ძალა-უფლება რუმინიის გენერალ-გუბერნატორის ხელშია. ბესარაბიაში სამხედრო წესებია. პოლიტიკური ტერორის საფუძველზე გლეხთა აჯანყება ხდება. ხოტინის და სოროკის მაზრაში აჯანყება ჩააქრეს. სოფლები. გადასწვეს, მცხოვრებლები გაიქცენ. ტირასპოლში აჯანყების ჩასაქრობათ ფრანგების ბატალიონის მაგივრათ პოლონეთის ლეგიონერები გაიგზავნა.

**ხარკოვი.** თებ. 24. უკრაინის რკინის გზებზე სამხედრო წესები გამოცხადდა.

**ეკატერინოდარი.** თებ. 26. საფრანგეთის ჯარის უფროსებმა დახურეს შულგინის გაზეთი „როსია“.

**ნოვოჩერკასკი.** თებ. 16. ყაზახთა წრის წევრზე ატაევზე თებერვლის 14 თავდასხმა მოახდინეს.

**ვილნა.** თებ. 28. გროდნოს გუბერნიაში პოლონელთა შემოჭრის გამო პროტესტის ნიშნად გროდნოს საბჭომ ერთი დღით გაფიცვა გამოაცხადა. მოხდა დაპატიმრებანი.

**ნაუენი.** თებ. 28. სახელმწიფოს თავდაცვის კანონპროექტის მე-3 ჯერ განხილვის დროს ეროვნულ ყრილობაზე დამოუკიდებელმა ბრასემ პროტესტი განაცხადა სპარტაკელების წინააღმდეგ იარაღით ბრძოლის გამო და მთავრობას უკიჟინა სოციალისტების წინააღმდეგ ბისმარკის წესების შემოღება.

**ბერლინი.** თებ. 25. დამფუძნებელ კრებაზე იუსტიციის მინისტრმა ლანდსბერგმა განაცხადა რომ რადეკი უკვე თეს ციხეში გადაიყვანეს მაგრამ ბორკილები არ მოუხსნიათ. უარყოფილ იქნა წინადადება, რომ რადეკისთვის ბორკილებში სეირნობის ნება მიეცათ. რადეკის დამცველებს ვეინბერგსა და როზენს მისცეს ნება ინახულონ იგი, მხოლოდ საგამომძიებლო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა დასწრებით. დამცველებმა ამის გამო პროტესტი განაცხადეს. ლონდონის გაზეთი „დეილი ნიუსი“ იუწყება, რომ მოკავშირეთა უმაღლეს სამხედრო საბჭოს განზრახვა აქვს ხელმეორეთ მოიწვიოს რუსეთის პარტიები საზავო კონფერენციაზე. ხმებია, რომ თუ რუსეთის პარტიებმა მოწვევა არ მიიღეს მაშინ დაინიშნება კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს რუსეთში გასაგზავნი ექსპედიციისთვის საჭირო ჯარის რაოდენობა. ამერიკა უარს ამბობს ამ კომისიაში მონაწილეობაზე.

ლონდონის გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება; ინგლისის მთავრობამ აცნობა ბირმინგამის დეპუტატთა საბჭოს, რომ იგი მზადაა იცნოს საბჭოები, როგორც სამეურნეო პროფესიონალური ორგანიზაციები, და მათთან მოლაპარაკება გამართოს.

**ბერლინი.** თებ. 23. გენერალმა ფოშმა უბრძანა გერმანიის მთავრობას, რომ დიუსელდორფში სპარტაკელების წინააღმდეგ ჯარი გაგზავნოს. მთელ რაიონში სპარტაკელების მოძრაობაა. ესენში 3000 შეიარაღებული სპარტაკელია. დიუსელდორფში მათი რიცხვი 15000 აღწევს. შმალკალდენში და გესენკირხენში მთელი ბატალიონები შეადგინეს.

**ბერლინი.** თებ. 25. ცენტრალურ გერმანიაში მაღაროების მუშები გაიფიცენ, რკინის გზელები გაფიცვისთვის ემზადებიან.

**ფერხიდი.** მარტის 1. გერმანიაში არეულობა ვრცელდება. ბომბერგში ეისნერის დასაფლავების დღეს დემონსტრაცია აჯანყებათ გადაიქცა. ბრბომ ეკლესიები და არქიეპისკოპოზის სასახლე აიღო. წესიერების აღსადგენათ მთავრობის ჯარი გაიგზავნა.

**ბერლინი.** თებ. 28. ბოტროპში და ვესტფალიაში მთავრობის ჯარსა და სპარტაკელებს შორის შეტაკება მოხდა. სპარტაკელებს ჰქონდათ ტყვიის მფრქვეველები და მძიმე ზარბაზნები. მათ სადგური და ქალაქი დაიჭირეს. რკინის გზით მიმოსვლა და სამრეწველოებში მუშაობა შესწყდა. მიუნხენში მოძრაობა ძლიერდება. ქუჩებში დადიან ავტომობილები, რომელიც მორთულია წითელი დროშებით და პლაკატებით „შურისძიება ეისნერის მოკვლისთვის“. ქალაქის ზოგიერთ ნაწილებში სროლა.

**გოტა.** თებ. 20. რადგან ქალაქი მთავრობის ჯარმა დაიჭირა გამოცხადდა საერთო გაფიცვა.

**ბერლინი.** თებ. 28. ბრაუნშვეიგში ბრბო შეიჭრა პარლამენტში და შეურაცყოფა მიაყენა თავმჯდომარეს და დეპუტატებს.

**ვენა.** თებ. 22. ბუდაპეშტში 3.000 კომუნისტის დემონსტრაცია ეცადა სოციალისტ-პატრიოტების გაზეთის რედაქციის ხელში ჩაგდებას. დემონსტრანტებსა და პოლიციის შორის შეტაკება მოხდა. 100 მეტი მოკლული და დაჭრილია. დაპატიმრეს რამდენიმე კომუნისტი და რამდენიმე გერმანელი, ჩეხელი და რუსი ბოლშევიკები.

**ბერლინი.** თებ. 28. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ვილსონმა განკარგულება მოახდინა მურმანის რაიონიდან ამერიკის ჯარი გაწვეულ იქნეს.

**ბერლინი.** თებ. 21. მარშალ ფოშმა გერმანიის კითხვაზე პასუხი გასცა, რომ მოკავშირეთა უმაღლესმა სამხედრო საბჭომ გამოიტანა. გადაწყვეტილება, რომ ეხლა ლაპარაკიც მეტია გერმანიის სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

**პრაგა.** 19 თებ. ჩეხო-უნგრეთის ფრონტზე სამხედრო მოქმედება შესწყდა.

**ვარშავა.** თებ. 21. ბელოსტოკში გერმანელებმა პოლონელებთან ხელშეკრულობა დასდეს, რომლითაც მათ ევალებათ ბელოსტოკზე პოლონელების ჯარის გაშვება ლიტვის ფრონტზე. რკინის გზა, ტელეგრაფი და ტელეფონი პოლონელების ხელში გადადის.

**ვილნო.** 1 მარტი. ბელოსტოკის მდგომარეობა გაზეთების ცნობით ცუდია. ქალაქში არევაა და პოლონელი ლეგიონები თარეშობენ პარტიულ კლუბებში ჩხრეკა და დაპატიმრება ხდება.

**მინსკი.** 1 მარტი. ბელორუსიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დეკრეტი გამოსცა ბელორუსიაში სასოფლო სამეურნეო სპეციალისტების მობილიზაციის შესახებ.

**მოსკოვი.** ლატვიის არმიის შტაბი. თებ. 28. ვოლმარის მიმართულებით ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა რეჟეკალნი დაიჭირა. მარიენბურგის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა ალტ-ანკენგოფი დაიჭირა. მარიენბურგის სამხრეთით სადგურ კალნემოზი დაიჭირა.

**ბელაია ცერკოვი.** 28 თებერ. პეტლიურას ჯარმა ბელაია ცერკოვის რკინის გზა გაანთავისუფლა და დასავლეთისკენ იწევს. დაბა სავიჩე უკვე გაანთავისუფლეს.

**მოსკოვი.** მარტის 1. გზათა სახალხო კომისარმა განაცხადა, რომ ამჟამად იმუშავებენ სამგზავრო მატარებლების შეჩერების გეგმას, სათბობ მასალის და სურსათის შემოზიდვის გასაადვილებლად შეჩერებული იქნება მიმოსვლა უმთავრესად სამრეწველო ქალაქებთან დაახლოვებული რკინის გზებზე.

**ბერლინი.** ბავარიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭომ მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მიმართა შემდეგი მოწოდება გამოუშვა: ფეოდალურ იმპერიალიზმის წარმომადგენლებმა ბავარიის რევოლუციის ბელადის კურტ ეისნერის საზიზღარი მკვლელობა ჩაიდინეს. ბავარიის პროლეტარიატი ერთსულოვნად აღსდგა რევოლუციის დასაცავად და მიმართავს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მხარი დაუჭიროს მას მძიმე ბრძოლაში. კურტ ეისნერი მკვდარია, მაგრამ მისი სული ძლიერია ბავარიის მუშებში. ბავარიის პროლეტარიატი დაანახვებს ყველას, რომ ის ძირიანათ მოსპობს მილიტარიზმს.

**ბერლინი.** თებ. 22. კლემანსოზე თავდასხმის შემდეგ მოკავშირენი ცდილობენ მალე მოაწერონ საზავო ხელშეკრულებას ხელი.

**ჩერნიგოვი.** რევოლუციონური მოძრაობა ხერსონის გუბერნიაც დაიპყრო. პეტლიურასი და მოხალისეთა ჯარები აჯანყებულებს ერთდება. დენიკინი მათ წინააღმდეგ ჯარს გზავნის. ხერსონის გუბერნიაში დენიკინმა 18 და 19 წლიანების მობილიზაცია გამოაცხადა. ჯარში გასაწვევი მუშები და გლეხები გარბიან. გაქცეულებს იჭერენ და აპატიმრებენ.

**ინგლისის ახალი საგარეო ბანკი.**

ინგლისის ახალი საგარეო ბანკის დაარსების შესახებ ბანკირთა სხვა და სხვა ჯგუფების შორის მოლაპარაკება ფერხდება. ახალი ბანკი რამოდენიმე თვის შემდეგ გაიხსნება. ძირითადი თანხა 2 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე ავა.

**ინგლისის ჰაეროპლანი.**

ხანდლეი ბეჯი აპირებს ჰაეროპლანით გადაფრენას პარლამენტის კომიტეტის წევრებთან ერთად. ჰაერით მოგზაურობას ერთ თვეს მოუნდება. ჰაერში მოძრაობის სამინისტროს განზრახული აქვს რამდენიმე გადაფრენა მოაწყოს სხვა და სხვა ქვეყნებში, რათა დაამტკიცოს ინგლისის ჰაეროპლანების უპირატესობა. პირველი გადაფრენა მადრიდისკენ მოხდება რამოდენიმე დღის შემდეგ. გადაფრენა მოხდება უზარმაზარ ჰაეროპლანზე „ხანდლეი პეჯ“-ზე.

შემდეგი გადაფრენა მოხდება ინგლისიდან ავსტრალიასა და დელიში, ლონდონიდან ლისაბონში და ინგლისიდან კაპშტადტში ქაირზე.

კემბრიჯის უნივერსიტეტმა 20,000 გირვანქა სტერლინგი მიიღო ჰაერში მოძრაობის საინჟენერო მეცნიერების კათედრის დასაარსებლად იმ პირობით, რომ კათედრას ეწოდოს „ფრანსის მონდის“ სახელი.

## გერმანული პრესა

**დიუსელდორფში**

28 თებერვალს დიუსელდორფში მთავრობის ჯარი შევიდა და სადგუ-

---

წელგადაუშვნელის; ბედს ბრმას, რომელმა უკუდასწია ეტლი მათის დიდებისა; თვით განგებას ყოვლადძლიერს, რომელმან შეუგნებლად უარჰყო ნათელი სვლა ქრისტეს მახვილ მეფეთა და მიენიჭა გამარჯვება ველარც უსჯულოს, მგმობელს ჯვარისა.

ესევე იყო გაქვავებული დედოფლის გული მაშინ, ოდეს განსწირული ბრძოლის მოლოდინში დააწინაურა აშოტმა თავის ცოლ-შვილი და მასთან ერთად ლტოლვილი ხალხი. საბედისწერო ბრძოლის წინ გამოეთხოვა ხალხს ერთგული მისი დარაჯი აშოტ, აწ უკვე მკლავ შემუსვრილი, დამბნეულ-დაკნინებული. შებრუნდა კარავში, დაჰკოცნა შვილები განსაცდელში მიმავალმა და მიუბრუნდა მეუღლეს, რომ გამოსთხოვებოდა ქალს თანამგრძნობელს. გულშემატკივარი ქალის მაგივრად მას დაჰხვდა მხოლოდ დედოფალი, უკმაყოფილო განსახება სხივფენ დიდებისა, რომელს უკადრისი ჩრდილი მისდგომოდა აშოტისაგან უმნოდ მოქნეულ ხმლის გამო. აწ ვაჟკაცის ვალი იყო მახვილთა ელვარებითვე მსწრაფლ გადმოეფანტა მის მზიურ პირიდან ნისლი მაბურდვებული. ის კი რაღაცა ტკბილ გამოთხოვებაზედ ფიქრობდა! დაარიგა:

— ფრთხილად! ჰაზრიანად! ჩვენც, ხალხსაც შენზედ დაგვიმყარებია სასოება. მთლადაც არ გადატყდეს ბაგრატიონთა სკიპტრა შენს ხელში გაბზარული; არ ჩაბნელდეს სვე-ბედი შენის მემკვიდრისა, შენის სამეფო სახლეულობისა!

მიუჰყრო თვალმორიდებულმა სახე გამოსამშვიდობლად, მოვალეობის აღსასრულებლად. ძლივედ შეყოყმანდა აშოტი და ემთხვევა მეუღლეს შუბლზედ. გამოცრიალდა. უკვნესოდა გული: მას უნდოდა ერთს წამს ჰხლებოდა მოყვარულ ცოლს, დაეკოცნა მიმავალს ლოყა, ეთქვა საიდუმლოდ სიტყვა ნაგრძნობი, შეესმენინებინა მისთვის ზახილი გულისა, მოესმინა თვითც ხმა თანაგრძნობი. ტყუილად! ამაოდ!

— ქალი კი არ არის ეს სისხლ ხორცით თხზილი, გრძნობის სითბოთი სულდგმულებული, კერპია ხისა მორთულ - შემკული, სადიდებლად კვარცხლ-ბეკზედ მდგარი. ეჰ, ეგეთია იგი ყოველ ჟამს, ეგეთი იყო. ამაოდ ვეძებდი მასში ჩვილ-ტკბილ გრძნობათა სავანეს, ხანდისხან მაინც გულუბრყვილოდ მომხიარულეს, სიცოცხლის ეშხით აღსავსეს, ცხოვრების სიმწირეთა დამატკბობელსა. ცივია მისი სული და ცივია ჩემთვის სამეფო პალატნიც ქვეყნიურთა კეთილთა მიერ სავსებით სავსენი, ფიქრობდა მიმავალი მეფე.

და სტკიოდა გული, ეს ტკივილი მით უფრო მწარე იყო მისთვის, რომ მისი დაჩენა ყოველთვის შეუძლებელი იყო მისთვის, მეტადრე ამ ჟამს, როცა შიშით შეპყრობილი ხალხი მხოლოდ მას-ღა შეჰყურებდა სასოებით, როგორც რომ ღმერთს ზედმიწევნილ განსაცდელთაგან მათ ხსნად მიმავალს; მაინც ისევ საწყალი ხალხის ხილვამ შთაპბერა მას სისრულე მხნეობისა, მამაცობისა: იმათში ჰპოვა მან ის თბილი გრძნობები, რომელთ ამაოდ ეძებდა თავის კერაზედ; რისხვა დატეხილი და დამდაბლებული ხალხი იყო ის, ვინც შემდეგშიც გულითად მადლობას შესძლებდა მას განსაცდელთაგან დაფარვისათვის და აწც აღავლენდა მის გამარჯვებად მხურვალე ლოცვას წინაშე ზეშთა მეუფისა. ამ განწირული ხალხის ნახვამ თვისივე ნების ყოფა მთლად ხელში მისცა აშოტს. მოიგო თავს მეფე მძლეველი, ყველას თავი მოაწონა თვის სარისტიანობით, გულშემატკივრობით, მამობრივი მზრუნველობით და იმედი შთაუნერგა თავის ვაჟკაცური იერით თუ ღრმა რწმენით, რომ ღმერთი მიანიჭებდა მას ძალას დაეცვა საქრისტიანო მტრისაგან გალაღებულისა.

— აშოტის ხმალი გვფარავს ჩვენ ყველას, ვით საფარველი დედისა ღვთისა!

— წმიდა გიორგია რაშზედ შემჯდარი, თვისის პოროლით ვეშაპთ მსპობელი!

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება)

79

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები დაიჭირა. სპარტაკელების მეთაურები დაიმალენ. მრავალი სპარტაკელი მაინც დააპატიმრეს. ხელთ იგდეს იარაღები და სამხედრო მასალა. მცხოვრებნი გახარებულნი არიან ტერორისაგან განთავისუფლების გამო.

**მ ი უ ნ ხ ე ნ შ ი**

მიუნხენში ბავარიის საბჭოს ჯერ არავითარი ახალი გადაწყვეტილება არ მიუღია. 28 თებერვალს ნაშუადღევს ადგილი ქონდა გამოურკვეველ საშუხარო მოვლენას უნტერლეიტნერის სიტყვის შემდეგ დარბაზში, სადაც სხდომა იყო შეცვივდა 15—20 ჯარისკაცი ამოღებულ რევოლვერებით და მუქარით დაიწყეს ყვირილი „ხელები ასწიეთ". სპარტაკელების ბელადნი დ—რი ლევიენი და მიუზმი დააპატიმრეს და წაიყვანეს, მაგრამ შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს. ამ შემთხვევაში, ჯარისკაცების წასვლის შემდეგ სხდომაზე გამოიწვია მედგარი გამოლაშქრება. დაინიშნა საგამომძიებლო კომისია. სოციალ-დემოკრატების უმრავლესობამ უარყო დამოუკიდებელთა წინადადება საბჭოთა სისტემის შემოღების შესახებ. წინადადება აუქმებს ლანდაგის სუვერენიტეტს, ეწინააღმდეგება დემოკრატიას და არ გვაძლევს პოლიტიკურ თავისუფლების გარანტიას. ნიურენბერგის გარნიზონმა განაცხადა პროტესტი მიუნხენის უმცარესობის დიქტატურის წინააღმდეგ.

**ლ ა ი ფ ც ი გ ი**

ლაიფციგში მდგომარეობა ჯერ-ჯერობით უცვლელია. საერთო გაფიცვები და აგრეთვე კონტრ-გაფიცვები მოქალაქეებისა გრძელდება. მუშათა გაფიცვების მომწყობი კომიტეტი ემუქრება პასუხისგებაში მიცემით გაფიცულ ექიმებს თუ მათი კონტრ-გაფიცვის გამო ავადმყოფები ცუდ მდგომარეობაში ჩაცვივდენ. შემდეგ ისინი იმუქრებიან, რომ საავადმყოფოებს დაიჭერენ დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები. საავადმყოფოების მოსამსახურეებს დაითხოვენ, თუ უარს განაცხადებენ, რომ ვერ შეინახავენ ავადმყოფებს. და ახალ მოსამსახურეებს მოიწვევენ. სასურსათო დაწესებულების კონტრ-გაფიცვების ცუდი გავლენის მოსპობის მიზნით გაფიცვების მომწყობი კომიტეტი აღარ დაანებებს სურსათს. ამაზე ლეიპციგის ქალაქის კომიტეტმა განაცხადა, რომ ყველა სასურსათო დაწესებულებანი არ ემხრობა ქალაქის მცხოვრებთა კონტრ-გაფიცვებს. რაც აუწყეს კონტრ-გაფიცვების მომწყობთ, ასე რომ სიცრუეა თითქო მცხოვრებლებმა ძალათ გაიფიცეს სასურსათო დაწესებულებები იმ მიზნით, რომ შუღლი დაეთესათ მუშათა კლასსა ამ დაწესებულებების შორის. მოლაპარაკების დასაწყებათ გალლეში დელეგატები გაიგზავნა.

**ბ ე რ ნ ი**

ცნობაა ვითომ ბერნში საერთო გაფიცვებია, არ მათრლდება. ყველა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა და მუშათა მასის წარმომადგენელებმა უარყვეს საერთო გაფიცვები. აგრეთვე უარყვეს გაფიცვები გილდესვეიგში. სხვა მაღაროს მუშებმა გადასწყვიტეს მუშაობის განახლება.

## ფრანგული პრესა

**აოხრებული საფრანგეთი.**

სტოკჰოლმიდან იუწყებიან: ბერლიდან დაბრუნებულ ბრანტინგმა „ავტონბლადეტი"-ს თანამშრომელს განუცხადა ომის დაწყებაში გერმანიის პასუხისმგებლობის შესახებ, რომ ჩრდილოეთ საფრანგეთში გერმანელების მიერ მოხდენილი ქარხნების, შენობების და სოფლების სისტემატიური განადგურება ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. „შეუძლებელია, რომ გერმანიის ზარალი არ აინაზღაურებინონ. კურტ-ეისნერი მართალი იყო, როცა ამბობდა. რომ გერმანიამ უნდა გადაიხადოს თავისი ვალი. საფრანგეთის მოთხოვნილებები სამართლიანია, რადგან ის სრულიად უსაბუთოთ გაანადგურეს. საფრანგეთი თავის აოხრებულ სამშობლოს სიმწარით ადარებს გერმანიის ქარხნებს, რომლებიც მაშინვე გაანახლებენ მოქმედებას, როგორც კი ნედლს მასალას მიიღებენ. გერმანიის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ ბრანტინგმა ის აზრი გამოსთქვა, რომ გერმანიის ხელმძღვანელნი ლოიალურ გზაზე დგებიან, მათ უნდა დაემტკიცებიათ, რომ სამუდამოთ სწყვეტენ კავშირს წარსულთან, მაგრამ ისინი ამას არ სჩადიან.

**ტერიტორიალურ კომისიების მუშაობა.**

ტერიტორიალურ კომისიების მუშაობის შესახებ გაზ. „ტანი" შემდეგს იუწყება: 1) ბელგიის საქმეთა კომისია, რომელსაც ბელგიისადმი წარდგენილი ჰოლანდიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ საშუალების გამონახვა ჰქონდა დავალებული, ეხლა იხილავს 1839 წლის ტრაქტატს. შაბათს კომისია შეუდგა შლეზვიგის საკითხის განხილვას. და მომავალ კვირაში მუშაობას დაამთავრებს. 2) რუმინიის საქმეთა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს აგრეთვე სამხრეთ სლოვენიის, ბულგარიის, ჩერნოგორიის და ალბანიის საზღვრების შესწავლა, გარდა ადრიატიკის ზღვის სანაპიროსი, მუშაობას მომავალ კვირისათვის დაასრულებს. კომისია საბოლოოთ არ გადასწყვეტს რუმინიისა და სამხრეთ სლოვენიის საზღვრების საკითხს; 3) საბერძნეთის საქმეების კომისიამ შაბათს შეისწავლა საბერძნეთის მოთხოვნილებანი და ამით დაასრულა თავისი მუშაობა. 4) ჩეხოსლოვაკთა საქმეების კომისია მუშაობას მომავალ კვირაში დაამთავრებს. 5) პოლონეთის საქმეების კომისიის პირველი სხდომა შაბათს მოხდა დილით და პოლონეთის საზღვრების შემუშავებას მოუნდა; 6) ჯერ არ დაუნიშნავთ განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალება ყველა კომისიების მოქმედების შედეგების თავის მოყრა და დალაგება. შეიძლება ითქვას, რომ ყველა კომისიები თავის მუშაობას დანიშნულ ვადაზე დაასრულებენ.

## რეიტერის სააგენ. ცნობები

**წყალქვეშა ნავების გაუქმების საკითხი.**

წყალქვეშა ნავების გაუქმების შესახებ, რაზედაც ლაპარაკი იყო პარიზის კონფერენციაზე, რეიტერის სააგენტომ სარწმუნო წყაროებიდან დანამდვილებით გაიგო, რომ ბრიტანიის საარმირბაროს ძალიან მოსწონს ეს აზრი. წყალქვეშა ნავების კეთების და ომში ხმარების აღკრძალვა საერთაშორისო შეთანხმებით უნდა დადასტურდეს. ამ საკითხის შესახებ დიდი ბრიტანიის საზღვაო უწყების აზრს მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მას ყველა სხვა სახელმწიფოებზე მეტი აქვს წყალქვეშა ნავები და უფრო მეტის აშენება შეუძლია.

**100 საბარგო გემის შეკვეთა.**

ინგლისის საზღვაო საამშენებლო ქარხნებს ამას წინად 100 დიდი საბარგო გემი შეუკვეთეს- ჯერ მარტო ელერმან ბიუკნალმა ჩრდილო აღმოსავლეთის სანაპიროზე 50-ზე მეტი გემი შეუკვეთა: „ბრიტანია-ინდოეთის საზოგადოებამ" 9; დიდი ჯავშნოსანი, „კუნარდის" 8; „კორლენტის და დონალდსონის"—6; გემი; „ელდერსის და ფაიფსის"—4; „შაუ სავილის და ალბიონის"—3; უნიონ კასტლის, ომონველსის და დომიონ ლეი ის ორ-ორი თითომ. საზღვაო ძალების მომავალი ბრწყინვალეა.

**მოსკოვი.**

რუსული გაზეთები იუწყებიან, რომ ბოლშევიკების მმართველობამ მოსკოვი სრულიად გაძარცვა. მოსკოვი უფრო დაზარალებულია ვიდრე პეტროგრადი. დუქნები დახურულია, რეკლამები ჩამოხსნილია ვაჭრობა სრულებით აღარ სწარმოებს, რადგანაც ვაჭრები გაიქცენ. შეძლებული პირნი, რომელთაც გაქცევა ვერ მოასწრეს, დაპატიმრებულია და დახვრეტას მოელიან.

**სტრასბურგის ტაძარი.**

საფრანგეთის მიერ სტრასბურგის გენერალ გუბერნატორად დანიშნულმა გეგირა სზაუერმა მარშალ ფოშს აუწყეს ურყევი ოფიციალური საბუთებია, რომ ომის დაწყებიდან სტრასბურგის ტაძარზე გერმანელებს ტყვიის მფრქვეველები ჰქონდათ დადგმული.

**გერმანიის ლაშქრის დემობილიზაცია.**

რეიტერის სააგენტოს ცნობებით, გერმანიის ლაშქრის დემობილიზაცია დასრულდა, გარ და 100,000 ჯარისკაცისა, რომელნიც აღმოსავლეთით იმყოფებიან გამოცდილი ძველი 300,000 ჯარისკაცისაგან სდგება მოხალისეთა არმია, მაგრამ ამ ჟამად დისციპლინა სუსტია და ჯარის შეკრება ფერხდება.

**ბერლინი.** თებერვლის 23. მიუნხენის საბჭომ ბავარია საბჭოთა რესპუბლიკად. გამოაცხადა და გადასწყვიტა შეაიარაღოს პროლეტარიატი. საბჭო იმუშავებს ბავარიის რესპუბლიკის კონსტიტუციას. ჯარს დაშლიან და შეადგენენ გვარდიას. მიუნხენის ყველა გაზეთი საბჭოთა ჯარმა დაიჭირა.

**ბუდაპეშტი.** თებერვლის 28. მინისტრთა საბჭომ დაადგინა დანიშნოს ჰუნგრეთის დამფუძნებელ კრების არჩევნები,

**ლოძი.** თებერვლის 15. ლოძის საბჭოს პლენარულ სხდომაზე დაადგინეს მოაწყონ უმუშევართა მიტინგი.

**მიუნხენი,** თებერვლის 22. გუშინდელ დემონსტრაციაზე მსურველთა იარაღს ურიგებდენ. მუშები და ჯარისკაცნი აღფრთოვანებული არიან. ჯარისკაცებმა დაიჭირეს სადგური.

## დატანჯული მნათობი

**(ისტორიული ლეგენდა).**

კრწანისის ომიდან ლტოლვილი მეფე ირაკლი, იჯდა ჩარდახში: არ სჭამდა, არ სვამდა, არც არავის იკარებდა. მის გულში ცეცხლის გენია ენთო... ალი სწვავდა საიდუმლოდ იტანჯებოდა...

ერთგული მსაჯული, ლეონიძე, ჩარდახს გარს უტრიალებდა... მის გულშიაც საკირე აღგზნებულიყო... მაგრამ თუ ირაკლის გული, სამშობლოს განწირვის გამო, ბედურას კვერცხის ტოლად შეკუმშულიყო, სოლომონის გულს, სამშობლოს და მეფის ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნის გამო, ბასრი მახვილი ჰკვეთავდა სისხლისაგან სცლიდა... ის, ვით ბრძენი, შორს მჭვრეტი და მცოდნე ირაკლისა, აშკარად ხედავდა, რომ განაჩენი მეფისა სასტიკი იქნებოდა და მკაცრი, მაგრამ არ იცოდა, ვის წინააღმდეგ იქნებოდა პუტარა კახის ბასრი მახვილი მიმართული —მტრისა, თუ მოყვრის!.. და მით უფრო იტანჯებოდა, რომ საშუალებას მოკლებული იყო, ეშველა პატრონისათვის.

მესამე საღამოს მეფემ გამოიხმდა და სოლომონს უხმო... გაფითრებული იყო მეფე: სამი დღის ჯოჯოხეთურ ტანჯვას მოხუცი გაეტეხა.

ნაწამები იყო სოლომონიც მის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა და თავჩაქინდრული უცდიდა განაჩენის გამოცხადებას.

— ადექ, ჩემო სოლომონ, შენი მეფე დღეს შორს არის... მას ემსახურე... მე დავთმე მეფობა... სამშობლოს კეთილდღეობისათვის... ძლივს წარმოსთქვა მეფემ და გული აუცრემლიანდა, სახეზე ხელი წაიფარა და შეტრიალდა.

ელდა-ნაცემი სოლომონი წამოიჭრა და გაქვავდა: მაჯის ცემა შეუჩერდა, თმა ყალყზე შეუდგა და ენა დაება ენა-წყლიანს.

— დიახ, რუსეთს ჩავაბარე ჩემი სამშობლო,—სთქვა მტკიცედ ისევ მეფემ მეხის ხმით, თითქო ჰსურს უთხრას: „ცრემლები, რომელიც შენ ჰნახე ამ წამს, არ იყო ლაჩრის, არამედ ვაჟკაცისა".

— ბატონო მეფევ!..

— ტყულად ნუ სცდილობ, ჩემო სოლომონ, დამარწმუნო წინააღმდეგში.

— ხალხი, მეფეო!..

— მისი ბედი გადაწყვეტილია!

— და ისტორია?!

— სამშობლოს უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე ჩემს ისტორიას.

— მე მოგახსენებთ სამშობლოზე, რომელსაც შენ მახვილი უნდა ჩასცე, უნდა მოკლა... თუ მას სიკვდილი მოელის, მოკვდება თავისთავად, მაგრამ ირაკლი გმირისაგან, რომელმაც ქვეყნიერებას გააცნო თავი, ვერ მოითმენს, სხვაზე არაფერი ვსთქვათ, სამშობლოს დედამიწა, არ მიიღებს იგი, მხდარსა და ცოცხალს არ გაგიკარებს... ვბედავ, მეფეო!..

— გაბედე, ჩემო სოლომონ. რამდენსაც მეტს გაბედავ გონივრულ სიტყვებს, იმდენად მეტ მალამოს დასდებ ჩემს გულზე... მაგრამ გადაწყვეტილება ჩემი ასჯერ გაზომილია.

— დამღუპველია, მეფეო, სასოწარკვეთილება მეფისა!

— გგონია, ჩემო სოლომონ, რომ შენ წინაშე სდგას ახალგაზდა ირაკლი, რომლის სახელის გაგონებაც-კი შიშის ზარს სცემდა მტერს... იგი მოხუცდა... და მოხუცს სასოწარკვეთილებაც ეპატიება.

— შვილები, მეფეო, უფლისწულები.

— ჩემს მტკივან ადგილს შეეხე, მსაჯულო!.. საჭიროდ ვხედავ, სიტყვა შემაბრუნო,—სთქვა მეფემ და სახე შეემუხნა.

სოლომონი მიხვდა, რომ გაფიცხებულ გულზე არ შეიძლებოდა ძამის წინაშე ლაპარაკი იმ შვილებზე, რომელთაც ზურგი აქციეს მცხოვან მამას, როდესაც მან სამშობლოს მტერს სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოუცხადა და მართლაც მოხდენილად შეატრიალა ენა.

— შენს ერთგულ მსაჯულს, მეფეო, ყოველთვის ნება ჰქონია მეფის წინაშე გულახდილად ლაპარაკისა. ნუ ამხდი ამ პატივს და ნება მიბოძე, მოგახსენო, რაც განვიცადე მთელი ღამის უძინარმა, წუხელ გათენებამდე.

სთქვი, ჩემო სოლომონ... მითხარი, რა განიცადე... იქნება ტკბილი ოცნება მაინც ჩამატანო საფლავში, დამავალებ დიდად,—უთხრა მეფემ და დაჯდა, მიუთითა საჯდომზე სოლომონსაც.

— ვით შენ აქ, ისე მეც გარედ ვიტანჯებოდი, მეფეო, მთელი დღე და ღამის უძინარი. ღამეებს ვათენებდი ცის ქვეშ და მოსაუბრედ მყავდა ვარსკვლავები... მაგრამ არ მაკმაყოფილებდა უცვალებადო მათი სახე... ჩემი დამაკმაყოფილებელი, გულის სევდის უკუმრელი მნათობი, დატანჯული, ვით ჩემი სამშობლო, ამოცურდა აღმოსავლეთით ამ დილით— გათენებისას. ის მილეულ იყო, ნემსის ყურში გაეტეოდა... ის ჩაენთქა რადაცას და ამ ვეშაპის პირიდან მოსჩანდა მხოლოდ ერთი ბეწო ნაწილი მისი, ნამგლისებრ გაკავებული და მისებრ წვერმახვილი... ის კვდებოდა, ისპობოდა... მოკვდა კიდეც, ჩემი თვალის წინ დალია სული... მაგრამ მოველი და უსათუოდაც მოველი ხვალ-ზეგ ამ მნათობს გაბრწყინვებულს დასავლეთის ცაზე. მართალია, ხვალ, ან ზეგ იგი ისევ ვეშაპს ეყოლება პირში ჩაჩრილი, მაგრამ ის თანდათან გაუსხლტება ამ საზარელ მხეცს პირიდან, გაივსება-გაიბადრება და ჩვენ დავინახავთ მას ცაზე ამაყად მოცურავეს... ეს დატანჯული მნათობი მაგონებს ჩემს, მისებრ დატანჯულ, სამშობლოს; ვეტრფი იმასაც, როგორც უკანასკნელს და არ ვეძლევი სასოწარკვეთილებას, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ სრულიად ჩანთქმა-მონელება ჩემი სამშობლოსი არ შეუძლია არავის, მართალია, როცა ეს მნათობი, მტრის პირისგან გათავისუფლებული, ამაყად მიდიმოდის ცის გუმბათზე, სრულიად სახე გაფერილი არც მაშინაა... ლაქა აჩნია, მიყვარს ეს დატანჯული მნათობი, რადგანაც იგი ატარებს სახეს სამშობლოსას და მჯერა, რომ არ მოკვდება ჩემი სამშობლო, ვისიც ხელშიაც ის არ გადავიდეს, ვით არ გაჰქრება ჩემი სატრფო მნათობი...

— სოლომონ!—ვით ჭაბუკი წამოიჭრა მოხუცი და გადაეხვია მსაჯულს. —დღეს რომ დავმალო ჩემი სამშობლო რუსეთის კალთის ქვეშ შესასვენებლად და ჯან-ღონის მოსაკრებად, მარწმუნებ, რომ იგი ერთ დღეს თავს განთავისუფლებს და, ვით შენი მნათობი, კვლავ განახლდება, კვლავ გაცოცხლდება?!

— მჯერა და მწამს, მეფეო და ბრძანებელო ჩემო, რომ ერთ მშვენიერ დღეს, საქართველო კვლავ განახლდება, კვლავ გაბრწყინდება.

— გმადლობ, ჩემო სოლომონ, გმადლობ, რომ ეს სათუო იმედი მაინც ჩამატანე საფლავში,—სთქვა, შუბლის გახსნით, მოხუცმა და ალმასებით მოიქარგა მისი არწივის თვალები.

*კირილე წუთისოფლელი.*

## მადლობა ქართულ ლეგიონს

თუმცა უდის ასპარეზზე ჩვენი მეომრები დამარცხდნენ, მაგრამ ჩვენ უდის მცხოვრებთ არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ქართულ ლეგიონის მამაცური ომი, რომელსაც სულ ერთი ასეული აწარმოებდა 20000 წინააღმდეგ; 30 იანვარს დილის 6 საათზე დაიწყო ომი და 10 საათზე აიღეს ს. წყისე და მახელი. საუბედუროდ ჯარის კაცთა სიმცირის გამო ფეხი ვერ გაიმაგრეს, რადგან არ ჰყავდათ მაშველი, ამისათვის უკან დაიწიეს და ს. უდის საზღვრებზე გამაგრდნენ.

თათრებს ჰყავნდა საიდუმლო ამბის გადამტანი, რომელნიც მათ აწოდებდნენ ცნობებს და იმით გათამამებული ბრბოები წინ მიიწევდნენ, მითაც ვერ შემოტეხეს უდის მარჯვენა ფრთა, სადაც დარაჯად იდგა ქ. ლეგიონი; მათი უფროსი პოლკ. ბ. კერესელიძე ისე მამაცურად აწარმოებდა ომს, რომ უკეთუ ჰყოლოდა ათი ასეული 20000 კი არა და ვერც 40000 გაუწევდა წინააღმდეგობას. საუბედუროდ უკან დახევის დროს ყველა სიკვდილის მსხვერპლი გახდა.

აქ დახოცილ მეომარ ლეგიონების სახელი ოქროს ასოებით დაიწერება საქართველოს ისტორიაში და თუ ჩვენ უდელებს (ლტოლვილებს) გვეღირსება უკან დაბრუნება, ავაგებთ უკვდავ ძეგლს მათ სახსოვრათ იქ სადაც დაიღვარა მათი სისხლი სამშობლოსათვის განწირული. სწორედ მათი თავგანწირული იმი იყო რომ მთელი უდე ფეხზე დააყენა და აამოძრავა დიდი თუ პატარა ყველა სცდილობდა თავის დახმარებით მადლობა გადაეხადა მეომარ ლეგიონებისათვის.

ჩვენი დაბრუნებისას ს. უდეში პირველი ზარი დაირეკება, მხოლოდ დახოცილთა სალოცავად. დაუვიწყარი იქნება თქვენი ხსოვნა ჩვენ ჩამომავალთაგან სანამ ჩვენი სოფელი იქნება. უკვდავი იყოს ხსენება თქვენ ქართველ ლეგიონის ოფიცერნო ჯარის კაცნო ს. უდის ომის გმირებო.

ს. უდის მცხოვრებთა მონდობილობით ივ. მერაბიშვილი.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

## მატარებლების მიმოსვლა

**11 თებერვლიდან**

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ—ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან—თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.


მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მებრაბიანც**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა გულისა. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში, სინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ... კით ფილტვების, გულის და სხვა ... ნაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბ... უფასოთ. ყოველ დღე დილის 9— საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24— 7—92

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

**ალექსანდრე დავითის ძე ... ქეჩლიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს ... საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მ ო ნ ს ე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დილით საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირა და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—7

**წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო**

**ვლადიმერ შატბერაშვილისა**

13 წლის განმავლობაში პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისამებრ

**ზომიერ ფასებში**

ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, ყდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ. საკინძ-საკაზმავ საგნებს.

მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. მსახიობთა კავშირის გვერდით.

24—114—15 პატივისცემით ვლ. შატბერაშვილი.

**ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული**

**გ ა ზ ე თ ი**

**„საქართველო"**

**1919 წ. წელიწადი მეხუთე 1919**

**გაზეთი წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი**

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა № 5,) (ქართული ... ... ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № ... ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო", ტელეფონი № 15—73.

**კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე**